# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 11 ნოემბერი 2003 №214 (1985) | ფასი 50 თეთრი


# France Football

# არჩევანი

## რომელსაც არავინ გააყალბებს

ამ 50 ფეხბურთელიდან ერთს პოპულარული ფრანგული გამოცემა „ფრანს ფუტბოლი" 22 დეკემბერს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად გამოაცხადებს და ოქროს ბურთით დააჯილდოვებს. ვის ერგება ოქროს ბურთი, იმ გამოკითხვის შემდეგ დადგინდება, რომელშიც ევროპის მოწინავე სპორტული გაზეთები მიიღებენ მონაწილეობას, თავის სიტყვას, ტრადიციულად, „სარბიელიც" იტყვის.

ნომინანტთა ნუსხას თუ ყურადღებით ჩაიკითხავთ, აღმოაჩენთ, რომ ოქროს ბურთის მაძიებელთა შორის ყველაზე მეტი, 8 ფეხბურთელი, მადრიდის „რეალს" ჰყავს, ქვეყნების მიხედვით კი ფრანგები და იტალიელები სჭარბობენ — 9-9.

აქვე შევნიშნოთ, რომ წინასწარი გამოკითხვით საუკეთესოობის მეტი შანსი ჩემპიონთა ლიგის მომგები „მილანის" კაპიტან პაოლო მალდინის, „მილანისავე" უკრაინელ ფორვარდ ანდრეი შევჩენკოსა და „იუვენტუსის" ფუტკარივით მუშა ნახევარმცველს, ჩეხ პაველ ნედვედს აქვთ.



პაველ ნედვედი



პაოლო მალდინი




ჩემპიონთა ლიგის ორი ფინალისტი და ორი ნომინანტი: ანდრეი შევჩენკო და ჯანლუიჯი ბუფონი



2002 წლის საუკეთესო: რონალდო

### 2003 წლის „ოქროს ბურთის" ნომინანტები

| | |
|---|---|
| პაბლო აიმარი | ვალენსია, არგენტინა |
| ტიერი ანრი | არსენალი, საფრანგეთი |
| მიხაელ ბალაკი | ბაიერნი, გერმანია |
| დევიდ ბექემი | რეალი, ინგლისი |
| ჯანლუიჯი ბუფონი | იუვენტუსი, იტალია |
| დეკო სოუზა | პორტუ, პორტუგალია |
| ალესანდრო დელ პიერო | იუვენტუსი, იტალია |
| ნელსონ დიდა | მილანი, ბრაზილია |
| ჟოვანი ელბერი | ლიონი, ბრაზილია |
| სამუელ ეტოო | მალიორკა, კამერუნი |
| რუუდ ვან ნისტელროი | მანჩესტერი, ჰოლანდია |
| პატრიკ ვიეირა | არსენალი, საფრანგეთი |
| კრისტიან ვიერი | ინტერი, იტალია |
| სილვენ ვილტორდი | არსენალი, საფრანგეთი |
| ზინედინ ზიდანი | რეალი,საფრანგეთი |
| ზლატან იბრაჰიმოვიჩი | აიაქსი, შვედეთი |
| ფილიპო ინძაგი | მილანი, იტალია |
| ოლივერ კანი | ბაიერნი, გერმანია |
| იკერ კასილიასი | რეალი, ესპანეთი |
| სოლ კემპბელი | არსენალი, ინგლისი |
| კრისტიან კივუ | რომა, რუმინეთი |
| პატრიკ კლუივერტი | ბარსელონა, ჰოლანდია |
| დარკო კოვაჩევიჩი | სოსიედადი, სერბეთი |
| იან კოლერი | დორტმუნდი, ჩეხეთი |
| ჰენრიკ ლარსონი | სელტიკი, შვედეთი |
| როი მაკაი | ბაიერნი, ჰოლანდია |
| კლოდ მაკელელე | ჩელსი, საფრანგეთი |
| პაოლო მალდინი | მილანი, იტალია |
| ადრიან მუტუ | ჩელსი, რუმინეთი |
| პაველ ნედვედი | იუვენტუსი, ჩეხეთი |
| ალესანდრო ნესტა | მილანი, იტალია |
| ნიჰათ კაჰვეჩი | სოსიედადი, თურქეთი |
| მაიკლ ოუენი | ლივერპული, ინგლისი |
| პედრუ პაულეტა | პსჟ, პორტუგალია |
| რობერ პირესი | არსენალი, საფრანგეთი |
| ლუდოვიკ ჟიული | მონაკო, საფრანგეთი |
| რაული | რეალი, ესპანეთი |
| რობერტო კარლოსი | რეალი, ბრაზილია |
| რონალდინიო | ბარსელონა, ბრაზილია |
| რონალდო | რეალი, ბრაზილია |
| მიჩელ სალგადო | რეალი, ესპანეთი |
| პოლ სქოულზი | მანჩესტერი, ინგლისი |
| ფრანჩესკო ტოლდო | ინტერი, იტალია |
| ფრანჩესკო ტოტი | რომა, იტალია |
| ჰატემ ტრაბელსი | აიაქსი, ტუნისი |
| დავიდ ტრეზეგე | იუვენტუსი, საფრანგეთი |
| ლილიან ტურამი | იუვენტუსი, საფრანგეთი |
| ლუიშ ფიგუ | რეალი, პორტუგალია |
| ანდრეი შევჩენკო | მილანი, უკრაინა |
| ჯანლუკა ძამბროტა | იუვენტუსი, იტალია |

საქართველოს უმაღლესი ლიგა, 15 ჩემპიონატი, პირველი ეტაპი

# 16 ტური

# მხიარული სეუ ჟოაოს სამქულიანი სამბა

სოსო კოტორაშვილი ქუთაისიდან

ნამატჩევს საპრესკონფერენციოდ შეკრებილი ჟურნალისტები უჩვეულო სანახაობის მომსწრენი შევიქენით. „ტორპედოს" ბრაზილიელი მწვრთნელი ჟოაო კამპუში სტუმართა ნირწამხდარ კოლეგას, ზურაბ ბერიძეს კარგა ხნის უნახავი ძმაკაცივით გადაეხვია და მაგიდისკენ ისე მიაპატიჟა, იფიქრებდი, ემანდ მადლიანი იმერული პურ-მარილით ხომ არ დაუხუნძლავთ მრგვალი მაგიდაო. საქეიფოდ და მოსალხენად კი მიეცათ საქმე ქუთაისელებს — ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერისა და მართლაც კარგი გუნდის დამარცხება, ჩემო ბატონო, იოლი ამბავი არაა და ეს რომ ასეა, იმ წვიმიანმა 90-მა წუთმაც გვიჩვენა, 2000 ქუთაისელი ქომაგის, სტუმარ-მასპინძელ გუნდთა ჩინიან თუ უჩინო მოხელეთა და იმერეთის გუბერნატორ თემურ შაშიაშვილის თვალწინ უშეღავათო ბრძოლაში რომ გაიელია. ბარემ აქვე ვთქვათ, რომ მატჩს გამორჩეული ინტერესით უცქერდა უკრაინელი სტუმარი, რომელიც რევაზ ჩელებაძეს ჩამოეყვანა ქუთაისში და რომლის სტუმრობის მიზანი ვიტელთა ახალგაზრდა მცველი დავით იმედაშვილი იყო. მოაწონა თუ არა 54 წუთში უკრაინელ მზირს იმედაშვილმა თავი, ცალკე სალაპარაკოა, ჩვენ კი ის ვთქვათ, რომ ზურაბ ბერიძემ ჭაბუკი მცველი მაშინ შეცვალა, როცა პირველი ტაიმის მიწურულს დაწინაურებული „ტორპედო" მეორე ნახევრის დასაწყისშიც მიაწვა სტუმართა კარს... თუმც, ვიდრე თამაშის ამ მონაკვეთამდე მოვიდოდეთ, პირველი ტაიმი მიმოვიხილოთ, მით უფრო, ალექსანდრე მეშკოვის სასტარტო სასტვენიდან 45 წუთის მანძილზე ბევრი რამ მოხდა საინტერესო და გამოსარჩევი.

გამოსარჩევ ამბავთა შორის უპირველესად იმაზე ვთქვათ, რომ „ტორპედოს" ბრაზილიელი მწვრთნელი მართლა მწვრთნელი ყოფილა. სეუ ჟოაო, აგერ უკვე მეხუთე მატჩია, გუნდის ტაქტიკურად განსწავლა-გამართვას ეშურება და საამისოდ ათასგვარ ექსპერიმენტს მიმართავს. ექსპერიმენტი უმეტესად ფეხბურთელთა სათამაშო ამპლუის შერჩევას ისახავს მიზნად. ამიტომაც იყო, შაბათს დავით გამეზარდაშვილი მცველად რომ ვიხილეთ, შოთა ბაბუნაშვილი კვლავ თავდამსხმელად, გაგა ჩხეტიანი საყრდენ ნახევარმცველად, ხოლო ლაშა ჭელიძე ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე. აქვე შევნიშნოთ, რომ ბრაზილიელს გუნდის საბრძოლოდ განწყობაც ეხერხება და თამაშის განმავლობაში იმდენ ენერგიას ხარჯავს, მის შემყურეს მოედანზე სირბილი დაგეზაროს, უნამუსობა იქნება. ჰოდა, კამპუშის შეგირდებმა უნამუსობისგან შორს დაიჭირეს თავი და სტუმართა დალაგებულ გუნდს თავიდანვე შეუტიეს.

მე-7 წუთზე კვეტენაძე-გამეზარდაშვილის კომბინაცია ამ უკანასკნელის საჯარიმოში შეჭრით გაგრძელდა, თუმც ვიტელთა მეკარე მირზა მერლანმა ქუთაისელს ბურთი არ დაანება. მერლანმა კარი კი დაიცვა, მაგრამ საკუთარი ფერდი ვერა — გამეზარდაშვილის ბურთისკენ მოქნეული ფეხი მოხვდა და საექიმო შეიქნა. ვიტელთა დასტაქრებმა მერლანი ფეხზე მალევე წამოაყენეს, ისევე, როგორც ხუთიოდ წუთში ქუთაისელთა ექიმმა ზვიად სტურუა, რომელსაც წინა ეპიზოდის მსგავს სიტუაციაში მარცვალაძემ მიუჟეჟა ფერდი.

ფერდ-ხელ-ფეხ-თავის მტვრევა მერეც გაგრძელდა, ოღონდ ისეთი, ხისტი ფეხბურთი რომ ეთქმის და განზრახ უხეშობას ვერ უწოდებ.

ამ ძიძგილაობის მიზანი მოედნის ცენტრის დაპატრონება იყო და თუ თავიდან ქუთაისელებმა, ჩხეტიანნერგაძის წყალობით, შეძლეს უპირატესობის მოპოვება, მე-20 წუთიდან მოუღლელმა დავით დილმელაშვილმა და ვიტელთა კაპიტანმა ლაშა ნოზაძემ მოედნის ის მონაკვეთი დაიპყრეს, საიდანაც საკუთარი გუნდის შეტევების ორგანიზება, ხოლო მეტოქის შემოტევათა ჩაშლა ყველაზე ხელსაყრელია.

ინიციატივის სტუმართა ხელში გადასვლა იმითაც იყო განპირობებული, რომ ფლანგებზე ერთობ აქტიურობდნენ გველესიანი და გოჩაშვილი, თავდასხმაში კი გოცირიძეს უშურველად ეხმარებოდა მარცვალაძე. სწორედ ამათ შექმნეს „ტორპედოს" კართან სახიფათო მომენტი — გოცირიძემ ქუთაისელთა საჯარიმოს მისადგომებთან მკერდით დაუგდო ბურთი მარცვალაძეს, რომლის მყისიერი დარტყმული მცირედით ასცდა სტურუას კარს.

„ტორპედო" შეტევის გამწვავებას პოროშინის თავით კარგად თამაშის წყალობით ცდილობდა, მაგრამ აშკარაა, უკრაინელი ჯერ ვერაა სასურველ ფორმაში და, ეტყობა, ტრავმირებული ფეხიც ბოლომდე ვერ მოუშუშებია. თენგიზ კობიაშვილმა ულაპარაკოდ აჯობა ქუთაისელთა ლეგიონერს და ტრიბუნებიდანაც გაისმა — ჟოაო, გაიყვანე პოროშინი. კამპუშმაც სათადარიგო მუშკუდიანს უხმო, მაგრამ ამასობაში მოედანზე ისეთი რამ მოხდა, ქუთაისელი ფანობა სკამებიდან გახარებული რომ წამოყარა და პოროშინი მოედანზე დატოვა — უკრაინელმა 41-ე წუთზე გოლი გაიტანა. სადაც სამართალია, უნდა ითქვას, რომ ამ გოლში ლომის წილი გაგა ჩხეტიანს უდევს. მარჯვენა ფლანგიდან დაძრულმა ჩხეტიანმა სამ ვიტელს ჩაუდრიბლინგა, მეოთხეს ველარ აჯობა, თუმც დაკარგული ბურთი თავადვე მოიპოვა, სტუმართა მცველები ისევ გააბითურა და საჯარიმოში ზუსტად ჩააწოდა, პოროშინმა კი მერლანს დაასწრო და ტაბლოზე 1:0 აინთო. ორიოდ წუთში ტაბლოს ოპერატორმა ალბათ 2:0-ის გამოსახატადაც მოიმარჯვა ხელი, მაგრამ მერლანთან პირისპირ შეყრილ შოთა ბაბუნაშვილს იმედაშვილი წამოეწია და დარტყმა არ დაანება, კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს კვლავ პოროშინმა უთავაზა, მაგრამ უზუსტოდ.

ზემოთ ვთქვით, მეორე ტაიმი ქუთაისელთა იერიშებით დაიწყოო. ვიტელთა მწვრთნელ ზურაბ ბერიძეს, ცხადია, მოვლენათა ასეთი განვითარება ხელს არ აძლევდა და „ტორპედოს" შებორკვა გოჩაშვილის თავდასხმაში აწევით გადაწყვიტა, იმედაშვილის ნაცვლად კი მოედანზე დათუნაიშვილი შეუშვა.

გოჩაშვილს ქუთაისში კარგად იცნობენ და ცუდად იგონებენ. საქმე ისაა, რომ „ჟომას" ერთგვარ ხელობად ჰქცევია „ტორპედოსთვის" გოლის გატანა და ისიც მატჩის მიწურულს. ამჯერად თბილისელმა ქუთაისელ ფანთა განრისხება ვერ შეძლო, თუმცა ვიტელთა გამთანაბრებელი გოლი სწორედ მისი პასით გავიდა — 57-ე წუთზე სტუმართა მრავალსვლიანი კომბინაციის შემდეგ მასპინძელთა საჯარიმოში ბურთი გოჩაშვილს მიუვიდა, რომელმაც არ დაახანა და გოცირიძეს მიაწოდა, ვიტელთა თავდამსხმელმა ერთი შეხებით, მოხდენილად დაარტყა და სტურუას შანსი არ დაუტოვა.

ამ გოლმა ქუთაისელები დააბნია, თბილისელები კი პირიქით, მოსაგებად მომართა, ჰოდა, საქმეში ჟოაო კამპუში ჩაერია. ბრაზილიელმა პოროშინი სკამზე დასვა, მის ნაცვლად მოძრავი და სხარტი ზვიად ქუთათელაძე შეუშვა, 81-ე წუთზე კი დაღლილ ვეტერანს, კახა კვეტენაძეს უწვერული ნიკა ნადირაძე არჩია და არც შემცდარა.

თმახუჭუჭა ნადირაძემ ის-ის იყო, მოედანზე ფეხი შედგა, რომ თანაგუნდელმა ბურთი მიუგორა. ნადირაძემ იმდენი მოახერხა, კუთხური მონადირა, ამ კუთხურს კი სამქულიანი გოლი მოჰყვა — სტუმართა მცველთაგან მოგერიებულ ბურთს საჯარიმოს ხაზთან ქუთათელაძე შეეგება და ცაციით მერლანის კარის ცხრიანში ჩაჭედა. აბა, აქ უნდა გენახათ ჟოაოს სამბა, ქუთაისურ სამბადრომზე კამპუშს თვისტომებიც არ ჩამორჩნენ — „ტორპედოს" ფიზმომზადების მწვრთნელს და ორ ახალწვეულ ბრაზილიელ ფეხბურთელს ქუთაისელი ფანობაც კი პირდაღებული შესცქეროდა.

მერე იყო თავში ნახსენები პრესკონფერენცია. *ზურაბ ბერიძემ* მოკლედ მოჭრა — „ტორპედომ" დამსახურებულად მოიგო და ღმერთმა ინებოს, ასეთი თამაშები ჩვენს ჩემპიონატში მრავლად იყოსო. *ჟოაო კამპუში* კი ენაწყლიანობდა: „სულ მალე სხვა „ტორპედოს" ნახავთ, რაც დღეს იხილეთ, ეს არ არის ამ გუნდის მაქსიმუმი. ჩვენ ზეექვსეულში აუცილებლად შევალთ, ეტაპებს შორის შესვენებისას კი ფეხბურთელებსაც დავიმატებთ და უფრო მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ. ეს ბიჭებიც (პრესკონფერენციას ბრაზილიელი ფეხბურთელებიც ესწრებოდნენ) გუნდს გააძლიერებენ. დღეს კი ძალიან ბედნიერი ვარ, „ტორპედომ" მართლაც ძლიერ გუნდს მოუგო".




აქეთ ქუთაისელი ბრაზილიელები ხარობენ, იქით ზურაბ ბერიძე დარდობს

ქუთაისი. 8 ნოემბერი. 15 საათი. ტორპედო. 2 000 (ტევადობა 19 600)

## ტორპედო 2:1 ვიტ ჯორჯია

1:0 პოროშინი (41), 1:1 გოცირიძე (57), 2:1 ქუთათელაძე (82)

ტორპედო: სტურუა, გამეზარდაშვილი, ხვადაგიანი, მახვილაძე, ლ. ჭელიძე (მუშკუდიანი 76), ნერგაძე, გ. ჩხეტიანი, კვეტენაძე (ნადირაძე 81), ს. თოდუა, ბაბუნაშვილი, პოროშინი (ზ. ქუთათელაძე 63)
*სათადარიგონი:* სომხიშვილი, გოგოლაძე, ლალაძე, ბურჯანაძე
მწვრთნელი: ჟოაო კამპუში

ვიტ ჯორჯია: მერლანი, იმედაშვილი (დათუნაიშვილი 54), კობიაშვილი, გ. გოჩაშვილი, დილმელაშვილი, ლ. ნოზაძე, დეკანოსიძე (დ. დოლიძე 84), გველესიანი, გოცირიძე (ადამია 7), მარცვალაძე
*სათადარიგონი:* ჟურაძე; ლ. მერებაშვილი, კვახაძე, ზვ. ლაბაძე
მწვრთნელი: ზურაბ ბერიძე

გაფრთხილება: ხვადაგიანი (73), ნოზაძე (64)

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი, მ. ელიკაშვილი; ი. კახიანი (ყველა თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი; დირექტორი: გ. ჯიშკარიანი

ჯარიმა 14-17; კუთხური 2-6; კარისკენ დარტყმა 2-8; კარში დარტყმა 3-1; თამაშგარე 2-0



„ვიტ ჯორჯიამ" რევაზ გოცირიძის (№11) ეს ერთი გოლი მოახერხა

### ინგლისი
პრემიერლიგა. XII ტური
ბლეკბერნი 2:1 ევერტონი

### ნორვეგია
პლეი ოფი
სანდეფიორდი 0:0 ვოლერინგა

### გერმანია
მეორე ბუნდესლიგა XII ტური
კოტბუსი 2:1 აუე

### ირლანდია
პრემიერლიგა. XXXIII ტური
შელბურნი 0:0 დუბლინი

### იტალია
სერია C1/B. XI ტური
ბენევენტო 1:1 კიეტი

### უკრაინა
პრემიერლიგა. XV ტური
ტავრია 0:0 დინამო
დნეპრო 0:0 მეტალურგი (ზ)

### პორტუგალია
სუპერლიგა. XI ტური
ფეირენსე 1:2 სპორტინგი

### ჩეხეთი
გამბრინუს ლიგა. XIV ტური
ლიბერეცი 0:1 სლავია

თბილისი. 9 ნოემბერი. 15 საათი. ეროვნული. 800 (ტევადობა 70 900)

## დინამო 1:0 ლოკომოტივი

1:0 იაშვილი (26)

**დინამო:** გვარამაძე, ახალაია, წერეთელი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კვირკველია, გოგობერიშვილი, დარასელია, ბურდული, იაშვილი (კანდელაკი 89), ალექსიძე
*სათადარიგონი:* ზოიძე; სახვაძე, ი. სამხარაძე, მ. ბობოხიძე, მელქაძე
**მწვრთნელი:** ივო შუშაკი

**ლოკომოტივი:** ხაჩირაშვილი, ზამთარაძე, ლ. სალუქვაძე, ვაშაკიძე, ორბელაძე (რ. ონიანი 74), სიჭინავა, უგრეხელიძე, მ. ბურნაძე (კობახიძე 46), ქოქიაშვილი (სოსელია 46), სირაძე, ნანა
*სათადარიგონი:* ბობლიაშვილი; ქემოკლიძე, მანჯავა, ლ. რეხვიაშვილი
**მწვრთნელი:** ლუის ცაკარიასი

**გაფრთხილება:** ალექსიძე (32)

**მსაჯები:** დ. ხანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ზ. ანიაშვილი (გორი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** რ. ჩილაჩავა; **დირექტორი:** დ. გოგია

ჯარიმა 19-15; კუთხური 4-6; კარისკენ დარტყმა 8-2; კარში დარტყმა 7-3; თამაშგარე 0-1

# შუშაკმა სწორად დაუშიზნა იაშკა 2

**დავით თავართქილაძე**

**როცა** მწვრთნელი ახალგაზრდა მოთამაშეს ენდობა, ეს დიდი საქმეა. ივო შუშაკმა მატჩისწინა პრესკონფერენციაზე თქვა, სანდრო იაშვილი სასტარტოში პირველად ითამაშებსო. ხორვატმა მიზანში მოარტყა — „დინამომ" სწორედ 18 წლის იაშვილის გოლით მოიგო.

იაშვილს ჯერ ლადო ახალაიას ფლანგური ჩაწოდების შემდეგ უნდა გაეტანა, მაგრამ მცველთან და მეკარესთან ბრძოლაში ეს ვერ შეძლო. თუმცა, როცა ვიტალი დარასელიამ ფლანგური ჯარიმიდან „ლოკომოტივის" საჯარიმოში ჩააბზრიალა ბურთი, იაშვილმა თავი საგოლედ დაუხვედრა.

რკინიგზელებმა თენგიზ სიჭინავას შორეული ჯარიმით სცადეს პასუხი, მაგრამ დავით გვარამაძემ კუთხურზე მოიგერია ბურთი, — ეს „ლოკომოტივის" მიერ შექმნილი ერთადერთი მწვავე ეპიზოდი იყო პირველ ტაიმში.

რატი ალექსიძის ოცდახუთიოდე მეტრიდან მოსხიპულზეც შევჩერდეთ — დინამოელმა ფორვარდმა, ასე ვთქვათ, ძალაზე კი არა, შესრულებაზე დაარტყა და ძელს გაარტყა ბურთი. ტაიმის ბოლოს კი იაშვილს თავით ერთხელაც შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ მასაც სიზუსტემ უმტყუნა.

მეორე ტაიმისთვის ლუის ცაკარიასმა შეცვლებს მიმართა, მაგრამ არც ამან გაჭრა — „ლოკომოტივი" თითქოს ენერგიისგან და აგრესიისგან იყო დაცლილი შეტევისას. ამ თვისებებს განელ ნანას ვერ დავუკარგავთ, მაგრამ მისი გარჯაც ფუჭი აღმოჩნდა, ვერც დავით სირაძის მიერ მოგებულმა ერთი-ორმა საჰაერო ორთაბრძოლამ შემატა რამე „ლოკომოტივს".

შესვენების შემდეგ ისევ იაშვილი გამოირჩა — მან თავით კარგად დაუგდო ბურთი დარასელიას, მან კი ხელებში შეაწყვიტა ის ზვიად ხაჩირაშვილს. დარასელიამ და ალექსიძემ „ლოკომოტივის" მეკარე შემდეგ შორეული დარტყმების მოგერიებაშიც დაასაქმეს. დარასელიამ ორჯერ არაზუსტადაც დაარტყა ხელსაყრელი პოზიციიდან.

რკინიგზამ ბოლო წუთებზე გაიბრძოლა — ლაშა სალუქვაძემ ნაკუთხურალ ბურთს თავი უთავაზა, მაგრამ ის ერთ-ერთ დინამოელ მცველს მოხვდა და კარში არ წავიდა. კონტრშეტევაზე კი ახალაიას უნდა გაეტანა 18-19 მეტრიდან, თუმც ბურთი ხარიხას გადაევლო.



ლაშა სალუქვაძემ რატი ალექსიძის დარტყმული ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანა

# მახარაძე ნამახარაძელებს შეუჩნდა

**გოჩა ჯანაშია ბათუმიდან**

ბათუმი. 8 ნოემბერი. 15 საათი. დინამო. 800 (ტევადობა 5 000)

## ბათუმი 3:2 მერცხალი

0:1 ბართია (13), 1:1 სირბილაძე (35), 2:1 კაკალაძე (59), 2:2 გაბედავა (87), 3:2 მახარაძე (89)

**ბათუმი:** ქვაჩახია, კობიძე, გუშარაშვილი, გალოგრე, ბეჟლარ თედორაძე, მანჩხავა (დარჩიძე 61), რომანაძე (ბესიკ თედორაძე 60), მახარაძე, ი. შენგელია, სირბილაძე (ცანავა 84), კაკალაძე
*სათადარიგონი:* ი. ბალაძე, ბეჟანიძე, ფურცხვანიძე, ნემსაძე
**მწვრთნელი:** ვალერიან ჩხარტიშვილი

**მერცხალი:** გია გოგუა, გ. ილურიძე, მეავანაძე, ჭალიაშვილი, გ. წივწივაძე, კობაური (ხუჭუა 69), ბართია, მებონია, ჭინჭარაული (სიამაშვილი 75), კალანდაძე, გაბედავა
*სათადარიგონი:* სოხაძე; ჯაბუა, ჩიჩუა, მანჯავიძე, ასკურავა
**მწვრთნელი:** აკაკი ათუაშვილი

**გაფრთხილება:** ჭალიაშვილი (32), ცანავა (89)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ბ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში; **დირექტორი:** გ. სორდია

ჯარიმა 15-16; კუთხური 9-0; კარისკენ დარტყმა 3-2; კარში დარტყმა 5-4; თამაშგარე 1-3

**თუ გახსოვთ,** ამ გუნდების პირველ, ოზურგეთულ შეხვედრაში „ბათუმმა" იმარჯვა. მაშინ ზედიზედ ოთხმარცხნაჭამმა ზღვისპირელებმა პირველი ქულები ვანო მახარაძის გვიანი გოლის წყალობით მოიპოვეს. ვანომ არც შაბათს დაინდო ერთ დროს მახარაძედ წოდებული ქალაქის გუნდი და ბოლოსწინა წუთზე გატანილით თითქმის მოპოვებული ქულა წაართვა.

სუსხიან ამინდში, ნაავდრალ გრუნტზე საკმაოდ მძიმე ბურთაობა გაჩაღდა. პირველივე წუთებიდან ორივე გუნდი მოჭარბებულად მონდომებული ჩანდა და შედეგის მისაღწევად ბევრსაც ცდილობდა. მართალია, მასპინძლებმა უფრო ცოცხლად დაიწყეს თამაში, მაგრამ გოლი მეტოქემ გაიტანა. მე-13 წუთი იყო, საჯარიმოს მარცხენა კიდესთან მყოფმა ბართიამ კალანდაძის პასი რომ მიიღო და მოულოდნელად შეუჩერებლად დაარტყა. უცნაური ტრაექტორიით წასული ბურთი ადგილზე გაშეშებული ქვაჩახიას კარის შორეულ ცხრიანში ჩაეშვა.

ამ მართლაც ლამაზმა გოლმა ზღვისპირელები ერთხანს დააბნია, სტუმრები კი პირიქით — იშტაზე მოიყვანა. ამიტომაც იყო, რომ ქვაჩახიას კართან უფრო იქმნებოდა ხიფათი. ჯერ კალანდაძის შორეულმა დარტყმულმა გაუზუზუნა მარჯვენა ძელს. ცოტა ხანში გაბედავამ მცველის უხეში შეცდომა კინაღამ გოლად აქცია, მოგვიანებით კი იმავ კალანდაძის პასით კარის ბადეც შეარხია, ოღონდ გარედან. ორივე ეპიზოდში „მერცხალის" მოიერიშე მახვილი კუთხიდან უტევდა.

სადღაც ტაიმის შუაწელიდან „ბათუმმა" ტემპს უმატა და სიტუაციასაც შეცვლა დაეტყო. რამდენიმე უნაყოფო მცდელობის შემდეგ მასპინძლებმა კუთხური მოინადირეს. შენგელიას ჩაწოდებულს გუშარაშვილმა თავი დაუხვედრა და საქმეში გოგუაც ჩართო. მეკარემ დარტყმა კი მოიგერია, მაგრამ ბურთი ვერ მოიხელთა და დამატებაზე სირბილაძემ ყველას დაასწრო.

შესვენების შემდეგ მასპინძლები დაახლოებით მსგავსსავე სიტუაციაში დაწინაურდნენ, ოღონდ პირველი შორეული დარტყმა მახარაძემ ითავა. გოგუამ ამ შემთხვევაშიც მოიგერია ბურთი, მაგრამ მასთან პირველი კაკალაძე აღმოჩნდა — 2:1.

დამძიმებულმა გრუნტმა თამაში მონოტონური გახადა და ბევრს მოეჩვენა, „ბათუმი" არსებულ შედეგს უპრობლემოდ შეინარჩუნებსო. ამას სტუმართა არცთუ მწვავე იერიშებიც მოწმობდა და ისე ჩანდა, „მერცხალი" გამთანაბრებელი არც იყო, თუმცა კალანდაძისა და გაბედავას კომბინაციამ ბათუმელთა იმედებს წყალი შეუყენა.

კალანდაძემ მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში მყოფი გაბედავა შენიშნა და შორი პასით ბურთი მკერდზე დაასვა. გაბედავამ ორ მცველს შორის ბურთი მკერდითვე გაიგდო, ბალახზე დაუშვებლად კარშიც ეფექტურად დაარტყა და კარის ბადეშიც ააფართხალა.

სამად სამი წუთი რჩებოდა მატჩის დასრულებამდე. შედეგის შეცვლის შანსი თეორიულიღა ჩანდა, თუმცა „ბათუმმა" სასწაული მაინც მოახდინა და ვანო მახრაძემ გურულები მესამედ და საბოლოოდ დაამწუხრა.

# სპარტაკი კარგი ბიჭია
# კოლხეთს ადგილი დაუთმო

თბილისი. 8 ნოემბერი. 15 საათი. ლოკომოტივი. 200 (ტევადობა 25 600)

## სპარტაკი 1:0 კოლხეთი

1:0 თოდუა (38)

**სპარტაკი:** მამალაძე, წურწუმია, ტვანია, დონდოლაძე, ჩიკვილაძე, ალადაშვილი (ებრალიძე 90), ბოლქვაძე, იმნაიშვილი, გ. თოდუა, კოტრიკაძე (გ. დოლიძე 80), ტატანაშვილი (ფირცხალავა 85)
*სათადარიგონი:* შევრილაძე; ჯანგიძე, მგელაძე
**მწვრთნელი:** ვასილ ჭეიშვილი

**მერცხალი:** ბათიაშვილი, ბაღათურია (თაგაძე 44), ქუტიძე, შ. ლონლაძე, მინდაძე, სვანაძე, ხურცილავა (შალამბერიძე 46), მ. ქობულაძე (მალანია 53), მარგალიტაძე, ლალანიძე, ტულუში
*სათადარიგონი:* გ. ტყებუჩავა, კახაძე, კრასოვსკი
**მწვრთნელი:** გია ტყებუჩავა

**გაფრთხილება:** ხურცილავა (7), ალადაშვილი (45), ტულუში (45), შალამბერიძე (50), ბოლქვაძე (78), იმნაიშვილი (90)

**გაძევება:** ბოლქვაძე (90)

**მსაჯები:** ა. შილაკაძე; მ. ურუშაძე (ორივე თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); გ. ახკაროლლი (ქარელი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო; **დირექტორი:** გ. ბაქრაძე

ჯარიმა 14-17; კუთხური 4-2; კარისკენ დარტყმა 8-6; კარში დარტყმა 6-2; თამაშგარე 7-4

**პაატა კვანტალიანი**

**ახალგაზრდული** „სპარტაკის" პოტენციაზე აქამდეც ბევრჯერ თქმულა. ვასილ ჭეიშვილის გუნდი თანდათან ყოჩაღდება. უმაღლესი ლიგის დებიუტანტი შეძლებისდაგვარად ორგანიზებულ, სწორ ფეხბურთს თამაშობს, ეგ არის, ფეხბურთელებს გამოცდილება აკლიათ. ამას დრო სჭირდება, ჩემპიონატი კი ისე სწრაფად გარბის, საკითხავია, გამოცდილების მიღებამდე თუ მოახერხებს „სპარტაკი" იმდენი ქულის დაგროვებას, უმაღლეს ლიგაში დასარჩენად რომ ეყოს. ერთი კი ნაღდია: დებიუტანტი მონდომებით და თავდადებით თამაშობს და სწორედ ამის შედეგია, შაბთს უშუალო კონკურენტს რომ სძლია და სატურნირო ცხრილში ადგილიც გაუცვალა.

„კოლხეთის" მდგომარეობა კი დღითიდღე უარესდება. გუნდი ისე დაქვეითდა, რომ შესაძლოა, სეზონის ბოლოს აქამდე არნახული სირცხვილიც ჭამოს — პირველ ლიგაში ჩაინაცვლოს. ბუნებრივია, ზღვისპირელთა დაუძლურებას კონკრეტული მიზეზი აქვს. ამბობენ, კლუბში ხელფას-პრემიების საკითხი ქართული ეკონომიკასავით მოშლილია და ფეხბურთელებს თამაშზე გული აუცრუვდათო. ალბათ ასეცაა, რადგან ჩემპიონატის რიხით დამწყები და თვით „დინამოს" დამმარცხებელი გუნდი 16 ტურში 10 თამაშს არ წააგებდა, მოტივაცია რომ ჰქონოდა.

გია ტყებუჩავამ „სპარტაკს" გადახალისებული შემადგენლობა დაუპირისპირა. სტუმართა ძირითადში ითამაშეს ბაღათურიამ, ხურცილავამ და მარგალიტაძემ. მატჩის დებიუტი თანაბარი და უსისხლო გამოდგა, ნახევარ საათში კი „სპარტაკმა" მოიგდო ბურთი და მატჩის სადავეები. მასპინძელთაგან გამორჩეული ბოლქვაძე უპრობლემოდ დასრიალებდა მეტოქის ნახევარზე. მისი მეცადინეობით 32-ე წუთზე თოდუას ასპროცენტიანი საგოლე მომენტი ჰქონდა, თუმცა თანაგუნდელის პასი ვერ შეირგო და მეკარესთან პირისპირ გასულმა ბათიაშვილთან წააგო. წუთის შემდეგ ბოლქვაძემ წამოიწყო შეტევა, რომელსაც ალადაშვილის ფლანგური პასი და ტატანაშვილის გაცუდებული თავური მოჰყვა, მალე კი მასპინძლებმა ანგარიში გახსნეს — 38-ე წუთზე ალადაშვილის კუთხურს დიდი არეულობა მოჰყვა კოლხთა საჯარიმოში. ყველას თოდუამ დაასწრო და, როგორც გაირკვა, მატჩის ერთადერთი გოლიც გაიტანა. გოლი მეორე ტაიმშიც გავიდა, თუმცა იმ ეპიზოდში ტულუში თამაშგარეთ იყო. ტულუშმა მერეც იდავა მსაჯებთან — საჯარიმოში წაქცეული პენალტს რომ ითხოვდა, თუმცა შილაკაძემ არ დააკმაყოფილა სტუმრის პროტესტი.

# პენაალ!

## გორელებმა ქვა ააგდეს და სხვისი თავი შეუშვირეს



„თბილისის“ მეკარე რევაზ ნაჭყეპიამ ეს და სხვა ძნელი ბურთებიც მოიგერია

გიორგი ვაშაკიძე გორიდან

**ყოჩაღ** „თბილისი“ და ყოჩაღ გიორგი დევდარიანი! უკვე მერამდენე ტურია, ეს ახალგაზრდა მწვრთნელი უნარიანად და, რაც მთავარია, შედეგიანად მოძღვრავს შეგირდებს. უკვე მერამდენე მატჩია, მისი შეცვლები ზუსტია და ალღოიანი.

ახლაც, როცა ნახა, რომ გუნდს თამაში არ მისდიოდა, სამიდან ორი შეცვლის უფლება პირველივე ტაიმში გამოიყენა, ერთიც თამაშის მიწურულს შეცვალა.

და რა მოიგო ამით? თამაში. დიახ, გოჩა ხოჯავამ აშკარად დაალაგა სტუმართა მოქმედება მოედნის ცენტრში, შეტევებსაც უნარიანად გაუძღვა და, რაც მთავარია, გამთანაბრებელი გოლი შეაგდო. რევაზ გეწაძე მე-80 წუთზე შევიდა მინდორზე, სამ წუთში კი ის ბურთი გაიტანა, გამარჯვებისა რომ ჰქვია და „თბილისს“ დიდი სიხარული მოჰგვარა.

შაბათს „თენგიზ ბურჯანაძეზე“ მთელი თამაშის მანძილზე გაუჩერებელი უამრავი ქომაგიც იყო, დაძაბულობაც, ინტრიგაც და ცოცხალი ფეხბურთიც...

„დილამ“ კარგად ითამაშა, „თბილისმა“ კი ძალიან კარგად. პირველი ტაიმი ულაპარაკოდ მასპინძლებისა იყო და კაიდარაშვილმაც ლოგიკური ბურთი გაუტანა ნაჭყეპიას. აქ სტუმართა მცველებმა მიუტევებელი შეცდომა დაუშვეს: სულთანიშვილის ჩაკიდებულ ბურთზე გორელი მოიერიშე მარტო შერჩა ნაჭყეპიას და თავით მშვიდად გაუტანა. ეს 21-ე წუთზე მოხდა. ტაიმის მიწურულს კი მასპინძლებს ურეალურესი მომენტი შეექმნათ: გივი კვარაცხელიას ბურთი ფეხებში აებლანდა და ბექა ჩიტაიაც „თბილისის“ გოლკიპერს პირისპირ შეეყარა; ნაჭყეპიამ ივაჟკაცა, ბურთი ფეხით მოიგერია, გადმოვარდნილზე კი სულთანიშვილს უმტყუნა მიზანმა.

მეორე ნახევარი მთლიანად სტუმრებისა იყო. გორელებმა ხოჯავა ვერ გააჩერეს. მან მთელი გუნდი აიყოლია და ნახვად ღირდა თამაში გაჩაღდა. „დილა“ რატომღაც პასიურობდა, თუმც კონტრშეტევებზე მაინც მწვავედ იჩხვლიტებოდა.

მე-60 წუთზე სტუმრებმა ჩინებული სამსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს და ხოჯავაც „დილას“ საჯარიმოში შევარდა. გოჩამ მეკარეს მასთან მიახლოების საშუალებაც არ მისცა და ჩაწოლილ სოლოლაშვილს შორეულ კუთხეში დაბალი დაურტყა 1:1.

ფრეზე არც ერთი გუნდი არ იყო ყაბულს. ეგაა, ფეხბურთელები სველ მინდორზე ძირითადად შორეული დარტყმებით ცდილობდნენ ფონს გასვლას, თუმც მეკარეები — სოლოლაშვილი და ნაჭყეპია ყოჩაღობდნენ.

83-ე წუთმაც მოატანა და სტადიონი წამით გაირინდა. სტუმართა ღრიალმა და სიხარულმა განთქმული „ჯუნგლებიც“ მიაჩუმა — რეზო გეწაძემ ხაჭაპურიძის შეცდომით ისარგებლა და სოლოლაშვილს ხოჯავას გოლის ტყუპისცალი გაუტანა — 1:2.

და „დილაც“ გამოფხიზლდა, უკანასკნელად, ღონივრად მიაწვა მეტოქეს. 90-ე წუთზე „თბილისის“ საჯარიმოში მერაბ ძოძუაშვილი დაეცა და თითქოსდა პენალტიც უნდა დანიშნულიყო, მაგრამ...

არბიტრ მაისურაძის არდანიშნულმა თერთმეტმეტრიანმა გაახელა გორელი ფეხბურთელები და ქომაგები. დასრულდა მატჩი და ალგზნებულ გულშემატკივარს მსაჯებთან ერთად სტუმართა გუნდიც არ მოუვიდა თვალში და დამცავ ღობეებს მიაწყდა. იყოჩაღა პოლიციამ, გაავებულ ქომაგს გადაურჩნენ სტუმრები და მშვიდობიანად შეაღწიეს გასახდელში, მაგრამ ერთი არაკაცის მიერ ნასროლი ქვა „თბილისის“ მასაჟისტს თავში მოხვდა და სისხლმაც ითქრიალა. ბედად, გარი სუქიასოვი მძიმე ტრავმას გადაურჩა.

პრესკონფერენციაზე „დილას“ თავკაცმა *ზურაბ ხორგუაშვილმა* კოლეგა-მეგობარს დამსახურებული გამარჯვება მიულოცა და შეგირდებს უსაყვედურა, დავალება ვერ შეასრულესო. სტუმართა მწვრთნელმა *გიორგი დევდარიანმა* მთელ გუნდს მადლობა გადაუხადა და განსაკუთრებით გოჩა ხოჯავა გამოარჩია, იდეალურად ითამაშაო.

გორი. 8 ნოემბერი. 15 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 5 000 (ტევადობა 8 230)

### დილა 1:2 თბილისი

1:0 კაიდარაშვილი (21), 1:1 ხოჯავა (60), 1:2 გეწაძე (83)

| | |
|---|---|
| **დილა:** სოლოლაშვილი, ლ. გოჩაშვილი, ლომიძე, ხაჭაპურიძე, ბალაშვილი, გ. ჩიტაია, ლაცაბიძე, სულთანიშვილი (რაზმაძე 59), ჯობაძე, ა. კაიდარაშვილი, ბ. ჩიტაია (ძოძუაშვილი 68) *სათადარიგონი: თ. ილურიძე, მარღიშვილი, ოლგესაშვილი, ალ. ლაბაძე, ხანიშვილი* **მწვრთნელი:** ზურაბ ხორგუაშვილი | **თბილისი:** ნაჭყეპია, ლოლაძე, გ. კვარაცხელია, სიდამონიძე, ელიავა, დ. ოდიკაძე (გეწაძე 80), გ. ნუგ. ჭელიძე, გოგიტა გოგუა (ხოჯავა 28), მიკუჩაძე (გ. ნოდ. ჭელიძე 36), აფციაური, დავითაშვილი *სათადარიგონი: ივარდავა, მემარნიშვილი, მიქიაშვილი, ყველაშვილი* **მწვრთნელი:** გიორგი დევდარიანი |

**გაფრთხილება:** გოგუა (21), გ. ჩიტაია (30)

**მსაჯები:** მ. მაისურაძე (თბილისი); გ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (ორივე ქუთაისი); ა. ორდინიძე (ონი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე; **დირექტორი:** ნ. კაკულია

ჯარიმა 19-22; კუთხური 4-5; კარისკენ დარტყმა 3-6; კარში დარტყმა 5-7; თამაშგარე 5-3



გარი სუქიასოვი მძიმე ტრავმას ბედად გადაურჩა

მცხეთა. 8 ნოემბერი. 15 საათი. არმაზი. 1 000 (ტევადობა 3 000)

### მცხეთა 0:4 სიონი

0:1 კოშკაძე (55), 0:2, 0:3, 0:4 გონჩაროვი (58, 89, 90)

| | |
|---|---|
| **მცხეთა:** ცინაძე, სიამაშვილი, ბ. ნოზაძე, ამბიძე (რაქვიაშვილი 36), კირვალიძე (სუბელიანი 73), თირქია (ხიდაშელი 46), ჩაჩუა, ავალიანი, ლ. ჩხაიძე, ძაგნიძე, პარამონოვი *სათადარიგონი: თ. ოდიკაძე, ჩიტაური, მუშუქია* **მწვრთნელი:** ვლადიმერ გუცაევი | **სიონი:** ა. ლაბაძე, ხუჯაძე, ქიქვეიშვილი, ბაქრაძე, გილაური (ისიანი 65), კვეკვესკირი (დარსანია 90), გაბიდაური, კოშკაძე, გაბისკირია, გ. შენგელია (ფანჩულიძე 88), გონჩაროვი *სათადარიგონი: ვოლკოვი, დაუშვილი* **მწვრთნელი:** ოთარ გაბელია |

**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ჭელიძე; **დირექტორი:** რ. ლორთქიფანიძე

ჯარიმა 12-11; კუთხური 4-2; კარისკენ დარტყმა 6-9; კარში დარტყმა 5-10; თამაშგარე 2-7

# თამაში უმწვრთნელებოდ

## გაბელიამ გუცაევს ოთხი ბურთი გაუტანა

კობა ინასარიძე მცხეთიდან

**როცა** „მცხეთას“ „მეორე სიჩქარე“ უნდა ჩაერთო და მეორე წრიდან ექვსეულში მოსახვედრად ქულების მოგროვებაზე ეზრუნა, სწორედ მაშინ დარჩა უთავკაცოდ. საარჩევნო ციებ-ცხელებამ მცხეთელებს პრეზიდენტ-მწვრთნელი ვლადიმერ გუცაევი წაჰგვარა, რომელიც ახალგორში მაჟორიტარ კანდიდატად კენჭს იყრიდა და მერე ნაციონალური მოძრაობის საპროტესტო აქციებს შეუერთდა. გუცაევს გუნდი განზე დარჩა, გუნდს კი ის ქულები, ექვსეულში მოსახვედრად ოქროდ რომ ფასობდა.

ბოლო ხუთი ტურია, „მცხეთამ“ მოგება არ იცის, მოგება კი არა, იქამდე შედეგიანობით ერთ-ერთი გამორჩეული გუნდი გატანასაც გადასჩვევია — მცხეთელებმა ამ ერთ თვეში სულ ოთხჯერ შეძლეს კარის აღება მაშინ, როცა მათ მეტოქეთ ამის პრობლემა არ ჰქონიათ და მეკარე ცინაძეს, ერთხელ კი მის სათადარიგო ოდიკაძეს 17-ჯერ გაუტანეს. დაგვეთანხმებით, ბურთების სხვაობას მცხეთელთათვის სანუგეშო არ ეთქმის.

„სიონი“ პირიქით, აღმასვლას განაგრძობს და შაბათიდან კვირამდე ცხრილის კენწეროშიც მოკალათებულიყო, რითაც ხარობდნენ კიდეც „არმაზზე“ შეკრებილი ბოლნისელი ქომაგები და ვეჭვობთ, საკვირაო „დინამო“ — „ლოკომოტივისას“ მასპინძელთა წაფორხილებაზე არ ეფიქრათ.

მატჩი კი 15 წუთის დაგვიანებით დაიწყო. არბიტრმა სერგო კვარაცხელიამ „საპატიო მიზეზით“ დაიგვიანა. ზუგდიდიდან მცხეთისკენ მომავალი გზად რამდენიმე პიკეტზე შეუყოვნებიათ. ვიდრე კვარაცხელია აღმოსავლეთისკენ „ნაწყვეტ-ნაწყვეტ“ მოდიოდა, იქამდე ტურის სხვა მატჩები დაიწყო. ასევე შეაგვიანდათ ცნობილ ბოლნისელ ქომაგ ალასა და მის ამქარს. მათ მცხეთას თბილისის შემოვლითი გზით ჩამოაღწიეს.

პირველ ტაიმში აღსანიშნავი ბევრიც არაფერი მომხდარა. იყო „სიონის“ დიდი უპირატესობა და ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშის არყოფნით დასუსტებულ „მცხეთას“ სტუმართა კარს მიახლოების მცდელობა, რასაც ბოლნისელი მცველებისთვის სანერვიულო არ მოუტანია. როგორც ყოველთვის, ყველაზე მეტს სტუმართა თავკაცი ოთარ გაბელია ნერვიულობდა, რომელიც წინა ტურში „სპარტაკთან“ არბიტრის შეურაცხყოფისთვის დაისაჯა და მატჩს მოედნის გაღმიდან უცქერდა. შენიშვნებსაც ჩვეულად, ემოციურად იძლეოდა. მოკლედ, სათადარიგოთა სკამზე არც ერთი მწვრთნელი ყოფილა, არც მეორე.

შესვენებამდე თუ რამ სათქმელია, პირველ ყოვლისა გონჩაროვისა და შენგელიას მომენტებზე. გონჩაროვმა მცველების უხეში შეცდომა ვერ გამოიყენა და ცინაძემ აჯობა, ორიოდ წუთში მეკარესთან პირისპირ დარჩენილ შენგელიას კი დარტყმა გაუცუდდა.

მეორე ტაიმი „სიონმა“ უფრო შემართულად დაიწყო. ერთი მომენტი, ორი, სამი და, ბოლოს, 55-ე წუთზე, როგორც იქნა, კოშკაძემ გაიტანა, რომელსაც სანერვიულო არ დაუკლია მასპინძელთათვის, ორბურთიანი სხვაობის მერე კი გაბელიამ იგი ისიანით შეცვალა. კოშკაძემ თავით შეაგდო, როცა მარჯვენა ფლანგიდან შენგელიას ჩაწოდებულს სწორად შეურჩია ადგილი და მეკარის მოძრაობის საპირისპირო კუთხეში დაარტყა.

უკანმოუხედავად წინა გაჭრილი „მცხეთა“ მეორედ გონჩაროვმა დასაჯა: „სიონის“ კონტრშეტევა მასპინძლებმა ჯარიმით შეაჩერეს, რომელიც სტუმრებმა წამშივე გაითამაშეს. მეტოქისთვის მოულოდნელად კოშკაძე საჯარიმოში შეიჭრა, უმეთვალყურეოდ მიტოვებული გონჩაროვი შენიშნა და ზუსტად უპასა. ბურთის ფეხის დახვედრაღა სჭირდებოდა — 0:2.

მერე „მცხეთამ“ კი გამოიდო თავი, მაგრამ გვიანი იყო. „სიონი“ იშტაზე მოსულიყო, სტუმრები თავდაჯერებულად თამაშობდნენ. თუმც ავალიანს მაინც შეეძლო თავის გამოჩენა — მისი დარტყმული ჯერ ძელს მოხვდა, კარის ხაზიდან კი ბურთი ბაქრაძემ გამოიტანა. აი, სულ ეს იყო, რაც უმწვრთნელო „მცხეთამ“ მოახერხა.

ორი გოლიც „სიონმა“ მაშინ გაიტანა, როცა კვარაცხელიას სასტვენი მატჩის დასამთავრებლად გამზადებული ჰქონდა. გონჩაროვმა წუთში მოახერხა ეს საქმე. პირველად ცინაძესთან პირისპირ დარჩა, მეორედ კი ფანჩულიძის პასი გამოიყენა და ბურთი ცარიელ კარში შეაგდო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 16 | 10 | 4 | 2 | 33:6 | 34 |
| სიონი | 16 | 9 | 6 | 1 | 22:8 | 33 |
| ვიტ ჯორჯია | 15 | 8 | 5 | 2 | 25:9 | 29 |
| დილა | 16 | 8 | 3 | 5 | 19:13 | 27 |
| თბილისი | 16 | 7 | 4 | 5 | 29:19 | 25 |
| ლოკომოტივი | 16 | 6 | 4 | 6 | 22:19 | 22 |
| ტორპედო | 16 | 6 | 4 | 6 | 15:17 | 22 |
| ბათუმი | 15 | 6 | 1 | 8 | 20:19 | 19 |
| მცხეთა | 16 | 5 | 2 | 9 | 18:37 | 17 |
| სპარტაკი | 16 | 3 | 4 | 9 | 9:36 | 13 |
| კოლხეთი | 16 | 3 | 3 | 10 | 9:22 | 12 |
| მერცხალი | 16 | 2 | 4 | 10 | 16:32 | 10 |

*პოპულარული გერმანული ჟურნალი „კიკერი" წერს: „დაუღალავი, ვერცხლისწყალივით მოძრავი, შესაშური კოორდინაციის უნარი. როცა ის მოედანზეა და ჩვეულად ტრიალებს თუ ბზრიალებს, ქომაგი აღფრთოვანებულია, მეტოქე — დაბნეული, წონასწორობადაკარგული. ბურთიან იაშვილს ისევე უნდა ერიდო, როგორც გაშმაგებული ვეფხვის თავდასხმას."*

*შაბათს ალექსანდრე იაშვილმა ბუნდესლიგაში საიუბილეო, მე-100 მატჩი ჩაატარა, ქართველ თავდამსხმელს 1998 წლის 15 აგვისტოდან დაწყებული საქმე კი ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა იმ ეპითეტებით შეუმკეს, რაც უკვე წაიკითხეთ.*

*თავისთავად აღსანიშნავი მე-100 ბუნდესლიგური მატჩი ალექსანდრე იაშვილისთვის ერთიორად გასახარიც გამოდგა. აკუნამ შაბათს „ვოლფსბურგი" დაამარცხა და პირველი ქართული ბუნდესლიგური ჰეთ თრიქი გააკეთა.*

*ერთი სიტყვით, 100 მატჩი უძლიერეს გერმანულ ლიგაში, 22 გოლი, გზა 1998 წლის 15 აგვისტოდან წინა შაბათამდე, „ბოხუმიდან" „ვოლფსბურგამდე"...*




1998. 15 აგვისტო. „ბოხუმი" – „ფრაიბურგი" 1:2.
ალექსანდრე იაშვილის პირველი ბუნდესლიგური მატჩი და პირველი გოლი

# იაშვილი ასია!

## აკუნამ ვოლფსბურგს სამჯერ ჩაუკაკუნა

— გუშინდელივით მახსოვს, ბუნდესლიგაში აღზევებული „ფრაიბურგი" ბოხუმს სტუმრობდა. როცა მწვრთნელმა სამატჩო ძირითადი შემადგენლობა დაასახელა, ფეხები ამიკანკალდა, ჩემს დღეში იყო მთელი გუნდი, „ფრაიბურგის" ფეხბურთელთა უმეტესობას იმ დღეს ბუნდესლიგაში დებიუტი ელოდა — გვითხრა ალექსანდრე იაშვილმა — საბედნიეროდ, მაშინ ყველაფერი კარგად დაიწყო და დამთავრდა, 2:1 მოვიგეთ. მეორე გოლი ჩემი იყო: ზუბაიას პასი ცენტრის ხაზთან მივიღე და კარისკენ გავქანდი, ამჟამად „შალკეს" კაპიტანი ვალდოხი მომდევდა, თუმც გზა გადავუკვეთე და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ახლო კუთხეში გავიტანე. „ბოხუმმა" მერედა შეძლო ანგარიშის შემცირება. მე კი ბუნდესლიგაში ჩემი ანგარიში გავხსენი.

**— და მას შემდეგ კიდევ 21 გაიტანე. ყველაზე ლამაზი რომელი იყო?**

— ისევ ის, „ბოხუმთან" გატანილი და შაბათს „ვოლფსბურგთან" შეგდებული პირველი ორი. ისე, თასზე „ბაბელსბერგს" ისეთი გოლი გავუტანე, მეტოქის მეკარემ ნამატჩევს თქვა, ამაზე კარგი რა უნდა იყოს, ბილეთში ფული არ გადამიხდია და ასეთი ბრწყინვალე გოლი ვნახეო. სხვათა შორის, იმ გოლმა იმ თვეში გატანილთაგან მეორე ადგილი დაიმსახურა.

**— შენი საუკეთესო მატჩი ბუნდესლიგაში...**

— ესეც 1998 წელს იყო. შვიდი კვირა ვმკურნალობდი, გამოჯანმრთელებულს პირველად „შტუტგარტის" წინააღმდეგ მომიწია თამაში, 2:0 მოვიგეთ და ორივე მე გავიტანე. მაშინ გერმანიის ნაკრების ფეხბურთელი ბერთოლდი პერსონალურად მეთამაშებოდა. პირველი ტაიმის შემდეგ ის გამოცვალეს.

**— 1998 წლიდან შენთვის საუკეთესო სეზონი რომელი იყო?**

— 2000 წლის. „ფრაიბურგი" ბუნდესლიგაში მეექვსე იყო, უეფას თასის საგზური მოვიპოვეთ, ჩემპიონთა ლიგამდე ორად ორი ქულა დაგვაკლდა, „ლევერკუზენმა" და „ჰერტამ" გვაჯობეს.

**— 22-დან ყველაზე მნიშვნელოვან გოლს გაიხსენებ?**

— ყველანაირად მნიშვნელოვანი, გამორჩეული „ბოხუმთან" გატანილი იყო. ის მატჩი და გოლი არ დამავიწყდება. უბედნიერესი კაცი ვიყავი.

**— მე-100 ბუნდესლიგური მატჩი მოგილოცეთ. იაშვილის მე-100 ბუნდესლიგური გოლი როდის იქნება?**

— იქამდე ჯერ შორია, მაგრამ უსაშველო, აბა, რა არის?! ვნახოთ, ალბათ, ამასაც მოვახერხებ.

**კობა ინასარიძე**



2003. 7 ნოემბერი. ალექსანდრე იაშვილის მე-100 მატჩი ბუნდესლიგაში და სამი გოლი „ვოლფსბურგთან". გერმანელმა ჟურნალისტებმა იაშვილს უმაღლესი შეფასება „1" დაუწერეს და ტურის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | პარმა 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 3 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | ლევერკუზენი 1:3 | 90 | გააფრთხილეს | 12 | 0 | 11 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ვოლფსბურგი 3:2 | 83 | 3 გოლი, შეცვალეს | 12 | 6 | 9 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | ვოლფსბურგი 3:2 | 90 | | 12 | 1 | 9 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | ს | კოტბუსი 1:2 | 65 | შეცვალეს | 12 | 5 | 15 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | კილმარნოკი 3:2 | 90 | 2 გოლი | 9 | 9 | 2 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | ს | კილმარნოკი 3:2 | 0 | ტრავმირებულია | 11 | 0 | 2 |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | შ | მოზერუელი 0:1 | 0 | ტრავმირებულია | 9 | 0 | 5 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | ს | როდა 1:2 | 90 | | 11 | 0 | 12 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | ადმირა 2:0 | 0 | სათადარიგო | 9 | 0 | 8 |
| **რუსეთი. თასის მეთექვსმეტედფინალი** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | ხიმკი 4:0 | 17 | შეცვლაზე ითამაშა, საგოლე პასი | 3 | 0 | |
| მიხეილ აშვეთია | ლოკომოტივი | შ | ხიმკი 4:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | |
| **რუსეთი. თასის მერვედფინალი** | | | | | | | | |
| ვალერი აბრამიძე | ურალანი | ს | ცსკა 0:4 | 0 | | 1 | 0 | |
| ვასილ გიგიაძე | ურალანი | ს | ცსკა 0:4 | 0 | დისკვალიფიცირებულია | 1 | 0 | |
| ანზორ კალაძე | ურალანი | ს | ცსკა 0:4 | 53 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | |
| გიორგი ლომაია | სპარტაკი | შ | ყუბანი 1:2 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | ამიკა | შ | ოდრა 2:2 | 90 | | 12 | 1 | 2 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | შ | შახტარი 1:3 | 85 | შეცვალეს | 15 | 1 | 4 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | შ | შახტარი 1:3 | 81 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 14 | 9 | 4 |
| ზურაბ იონანიძე | ტავრია | შ | დინამო 0:0 | 77 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 13 | 3 | 15 |
| გრიგოლ ჭანტურია | ტავრია | შ | დინამო 0:0 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 15 |
| ლევან მიქაძე | კრივბასი | შ | ბორისფენი 1:0 | 84 | შეცვალეს | 14 | 1 | 13 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | დნიპრო 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 1 | 0 | 11 |
| შალვა აფხაზავა | არსენალი | შ | კარპატი 2:3 | 23 | შეცვლაზე ითამაშა | 13 | 3 | 7 |
| გელა შეყილაძე | არსენალი | შ | კარპატი 2:3 | 90 | | 11 | 0 | 7 |
| გიორგი ციმაკურიძე | შახტარი | ს | მ. დონეცკი 3:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| **უნგრეთი. ბორსოდი ლიგა** | | | | | | | | |
| კახა ჩხეტიანი | პეჩი | ს | ბეკეშჩაბა 0:1 | 0 | | 6 | 1 | 7 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | მარეკი | შ | ლოკომოტივი 2:1 | 90 | 1 გოლი, გააფრთხილეს | 11 | 4 | 6 |
| ავთანდილ გვიანიძე | ბოტევი | შ | ჩერნომორეცი 1:1 | 0 | სათადარიგო | 4 | 0 | 15 |
| ლევან შავგულიძე | ჩერნო მორე | ს | ნაფტექსი 1:1 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 11 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ჩერნო მორე | ს | ნაფტექსი 1:1 | 90 | | 3 | 0 | 11 |
| **თურქეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | ს | ტელეკომი 0:3 | 30 | შეცვლაზე ითამაშა | 6 | 0 | 6 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | აუდა 8:0 | 90 | 1 გოლი | 21 | 7 | 1 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | შ | აუდა 8:0 | 45 | შეცვალეს | 11 | 1 | 1 |
| თამაზ პერტია | არმა | ს | რიგა 0:4 | 90 | | 25 | 2 | 8 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | შ | აეკ 4:1 | 90 | | 9 | 4 | 4 |
| ლევან მაღრაძე | აელ | ს | ეთნიკოსი 0:2 | 63 | შეცვალეს | 7 | 1 | 8 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | ს | დიგენისი 1:1 | 90 | 1 გოლი | 6 | 7 | 6 |
| გიორგი ქორიძე | ევტაპასი | შ | ომონია 0:3 | 70 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 9 | 5 | 13 |
| **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| კახა გოგოლაძე | ბატისი | ს | აკტობე-ლენტო 1:5 | 90 | 1 გოლი | 20 | 3 | 16 |
| დავით ჯანაშია | ატირაუ | | ტური გამოტოვა | | | 6 | 2 | 4 |
| ლევან ბაჯელიძე | ატირაუ | | ტური გამოტოვა | | | 11 | 2 | 4 |
| სანდრო ბურნაძე | ეკიბსტუ | ს | ტობოლი 0:1 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 9 | 1 | 8 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*



შოთა არველაძემ „რეინჯერსს" „კილმარნოკთან" ორი გოლით მოაგებინა

# დუბლი და მგზავრობა კიოლნში

*შოთა არველაძემ შოტლანდიის ჩემპიონატის ბოლო ტურში ორი გოლი კი გაიტანა, მაგრამ ახლა კიოლნში ტყუპისცალ არჩილთან ერთად ექიმ შტეფან შეფელჰოფის კლინიკაშია გამოკვლევაზე*

— „მანჩესტერთან" გლაზგოურ მატჩში მიღებული ტრავმა კვლავაც მაწუხებს და კიოლნშიც ამიტომ ჩავედი — მტკივანი კოჭი არა და არ ჩამიცხრა.

— „კილმარნოკთან" დუბლი გააზერხე — ასეთი ტრავმით შენი შესაძლებლობების რამდენ პროცენტს ავლენ?

— ალბათ 60 პროცენტს.

— 26 ნოემბერს ჩემპიონთა ლიგაში „შტუტგარტთან" გადამწყვეტი მატჩი ელის „რეინჯერსს" — შენი 60 პროცენტი „შტუტგარტის" წინააღმდეგ საკმარისი იქნება?

— თუ ყველა რეინჯერსელი ჯანმრთელად იქნა, შემიძლია დაგპირდეთ, რომ კარგ თამაშს ვაჩვენებთ. ისიც ხომ არის, რომ „რეინჯერსის" გარდა ამ სეზონში „შტუტგარტს" ვერავინ მოუგო.

— „კილმარნოკთან" თამაშს თუ არ ჩავთვლით, „რეინჯერსმა" ბოლო მატჩები უნიათოდ ითამაშა — რა იყო ამის მიზეზი?

— ტრავმები და წვრილ-წვრილი პრობლემები, თორემ რაღაც განსაკუთრებული მიზეზი ამ პატარა ჩავარდნას არ ჰქონია.

**დავით თავართქილაძე**

# სკამი, რომელიც არ უყვართ ქართველებს
## ასათიანმა 17 წუთში კინაღამ დაგლიჯა

*ოთხი მწარე თვე დასრულდა — მალხაზ ასათიანი მოსკოვის „ლოკომოტივის" ძირითად შემადგენლობაში დაბრუნდა. 22 წლის ნიჭიერმა ნახევარმცველმა კვლავ დაიბრუნა იმედი, რომ ფეხბურთს ისევ ითამაშებს. 2003 წლის 11 ივლისი ასათიანისთვის ყოველთვის უსიამოვნო თარიღი იქნება. ამ დღეს ყაზანის „რუბინთან" (1:1) მატჩი იყო. ამის მერე ასათიანი „ლოკომოტივის" სარეზერვო ფეხბურთელად იქცა და მოედანზე გასვლა ნამით არ ღირსებია.*

*შესაძლოა, პირველლიგელ „ხიმკისთან" რუსეთის თასის მეთექვსმეტედფინალში ნათამაშები რამდენიმე წუთი ამხელა კუდის გამოსაბმელად არც ღირს, მაგრამ აქ მთავარი სხვა რამაა — მალხაზ ასათიანი ჩვენთვის არ არის უბრალო, რიგითი ფეხბურთელი და არც გვინდა, რომ ასეთი იყოს...*

*გუშინ მალხაზს მოსკოვში შევეხმიანეთ. ბავშვივით გახარებული იყო...*



— ზუსტად ვერც ვამბობ, რას ვგრძნობდი მოედანზე შესვლისას. ძალიან ვიყავი, მინდოდა, ყველაფერი დამეგლიჯა და ხალხისთვის დამემტკიცებინა, რომ თამაში შემიძლია. რამდენად მოვახერხე, ეს სხვა საქმეა. ყოველ შემთხვევაში, უკმაყოფილო არავინ დარჩენილა.

**— თავად თუ ხარ კმაყოფილი?**

— ძალიან ძნელია, ამდენი ხნის უთამაშებლობის შემდეგ ყველა საუკეთესო თვისების გამოჩენა. რამდენიმე თვეა, სკამზე ჯდომის მეტი არაფერი მიკეთებია. თავიდან დაბნეულიც კი ვიყავი. ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, რომ რაღაც მეუცხოვებოდა, მაგრამ ეს სხვისთვის უინტერესოა. შანსს გაძლევენ და თუ შეგიძლია, უნდა გამოიყენო.

**— საგოლე პასი გაგიკეთებია. რუსები წერენ, მარჯვენა ფლანგზე ლამაზი რეიდი განახორციელა და ლოსკოვს ფეხზე დაასვა ბურთიო...**

— მარტო ესაც არ ყოფილა: საგოლე პასის გარდა ერთხელ პირისპირაც გავიყვანე თანაგუნდელი, მაგრამ ვერ ივარგა. რაც უნდა იყოს, მეტოქეც ხომ გასათვალისწინებელია. პირველლიგელ „ხიმკის" ვეთამაშეთ და აშკარად ძლიერები ვიყავით. თუ რამე შემიძლია, უფრო კარგ გუნდთან უნდა ვაჩვენო. ისე კი, ვფიქრობ, ნორმალურად ვითამაშე.

**— მატჩის შემდეგ მწვრთნელთან ხომ არ გისაუბრია?**

— არა. სიომინმა ისევე გადამიხადა მადლობა, როგორც დანარჩენ ფეხბურთელებს.

**— რუსეთის ჩემპიონატი დამთავრდა. ახლა თასის მატჩებიღა დარჩა. იმედი გაქვს, რომ სიომინი კიდევ გათამაშებს?**

— არ ვიცი. ამის შესახებ წინასწარ არაფერი უთქვამს. შანსი თუ კიდევ მექნება, მაგას რა ჯობია. არაერთხელ მითქვამს, რომ მე მხოლოდ თამაში მინდა. დანარჩენი მეორეხარისხოვანია. ვინ იცის, სკამზე ჯდომით უკვე რამდენი დავკარგე.

**— ვთქვათ და, სიომინმა თასის მატჩებში კიდევ გათამაშა. ამით ხომ არ გადაწყდება შენი „ლოკომოტივში" დარჩენა?**

— არა. სეზონი დამთავრდეს და მერე ხელმძღვანელობას აუცილებლად დაველაპარაკები. მე აქ სკამზე დასაჯდომად არ ჩამოვსულვარ. მნიშვნელობა არა აქვს, დარჩენილ მატჩებში მათამაშებენ თუ არა. თუ ნაღდად დამარწმუნებენ, რომ „ლოკომოტივში" თამაში მეღირსება, მაშინ დავრჩები, არადა — გამიშვან. სკამზე არ დავჯდები. რაც აქამდე ვითმინე, ისიც ზედმეტი იყო.

**კახა შალამბერიძე**

# რეინჯერსის ჯიგრიანი

## შოტლანდია
### პრემიერლიგა. XII ტური

**კილმარნოკი 2:3 რეინჯერსი**

0:1 არველაძე (30), 1:1 მაკდონალდი (39), 2:1 კანერო (50), 2:2 არველაძე (63), 2:3 ნუნუ კაპუშუ (87)

რეინჯერსი: შ. კლოსი, რიკსენი, ფ. ბერგი, ბოლი, ემერსონი (ნუნუ კაპუშუ 80), არტეტა, ს. ჰიუზი, ვანოლი, ლოვენკრანდსი, არველაძე, მოლსი (ოსტენსტადი 90)

*ზურაბ ხიზანიშვილი ტრავმირებულია*

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

12 204 მაყურებელი

**დანდი 0:1 მოზერუელი**

0:1 კრეიგი (52)

დანდი: სპერონი, მაკეი, უილკი, მაირი, კამერონი, ნოვო, სმიტი, ბრედი, ლინი (კაბალიერო 46), რავანელი, სარა

*გიორგი ნემსაძე ტრავმირებულია*

მწვრთნელი: ჯიმ დაფი

6 374 მაყურებელი

**აბერდინი 0:1 ჰართსი**

0:1 ტოში (12ს.კ.)

**სელტიკი 5:0 დანფერმლაინი**

1:0, 2:0 ჰართსონი (23, 77), 3:0 უოლესი (81), 4:0 ვარგა (83), 5:0 ლარსონი (87)

**ჰიბერნიანი 2:2 დანდი იუნ.**

1:0 ბრაუნი (15), 1:1 მაკლარენი (28), 1:2 რობსონი (83), 2:2 მაკკრეკენი (90)

**ლივინგსტონი 2:0 პარტიკი**

1:0 ლილეი (26პ), 2:0 მეკელი (45)

„დანდის" ცხრა დაშავებული ფეხბურთელი ჰყავს, რომელთაგან ყველაზე ფასეული სამი კაცია — გიორგი ნემსაძე, სტივ ლოველი და გევინ რაე. ამის გათვალისწინებით, „დანდის" საშინაო მარცხი არცთუ მოულოდნელია, მაგრამ ნაჩო ნოვომ ისეთი საგოლე შანსი გაანიავა, რომ ბურთის არგატანა იმ ეპიზოდში წარმოუდგენელი იყო. მოკლედ, ანგარიში მთლად ზუსტად ვერ ასახავს სამატჩო პერიპეტიებს — დანდელებს ერთი გოლის გატანა მაინც მართებდათ უხვად შექმნილი სახიფათო მომენტებიდან.

ბოლო რამდენიმე უნიათო მატჩის შემდეგ ჯიგრიანად ითამაშა „რეინჯერსმა" და სტუმრად „კილმარნოკს" მოუგო. შოთა არველაძემ ორი გოლი კი გაიტანა, მაგრამ ბომბარდირთა დავაში მაინც მეორე ადგილზეა. პირველი გოლი მან მიკელ არტეტას კუთხურის შემდეგ შეაგდო — პიტერ ლოვენკრანდსისგან ბურთი შოთას მიუვიდა და მერელა აფართხალდა ცხრიანში. მეორე გოლი არველაძემ მიხაელ მოლსის ჩუბინობის შემდეგ გაიტანა — ქართველმა დაახლოებით 9-10 მეტრიდან იხეირა და ანგარიშიც გაათანაბრა. გამარჯვებისა ნუნუ კაპუშუმ შეაგდო თავით არტეტას ჯარიმიდან ჩაწოდებულზე. არ უთამაშია ზურაბ ხიზანიშვილს — მას საზარდული აწუხებდა.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 12 | 11 | 1 | 0 | 38:3 | 34 |
| რეინჯერსი | 12 | 9 | 2 | 1 | 33:11 | 29 |
| ჰართსი | 12 | 7 | 2 | 3 | 19:15 | 23 |
| მოზერუელი | 11 | 5 | 3 | 3 | 14:12 | 18 |
| დანდი | 12 | 4 | 4 | 4 | 14:13 | 16 |
| ლივინგსტონი | 12 | 4 | 4 | 4 | 13:13 | 16 |
| ჰიბერნიანი | 12 | 4 | 4 | 4 | 14:17 | 16 |
| დანფერმლაინი | 11 | 4 | 3 | 4 | 10:15 | 15 |
| კილმარნოკი | 12 | 3 | 2 | 7 | 14:28 | 11 |
| დანდი იუნ. | 12 | 2 | 4 | 6 | 9:21 | 10 |
| აბერდინი | 12 | 2 | 1 | 9 | 9:24 | 7 |
| პარტიკი | 12 | 0 | 2 | 10 | 9:24 | 2 |

### პირველი დივიზიონი

**80-12 ტური:** ეარი — ინვერნესი 0:3; რეითი — ქუინი 0:1; როსი — ფოლკირკი 1:2; სენტ ჯონსტონი — კლაიდი 3:0; სენტ მირენი — ბრეჩინი 0:0

### მეორე დივიზიონი

**80-12 ტური:** ერდრი — ისტ ფაიფი 1:1; არბროთი — ალოა 3:1; ბერვიკი — დამბარტონი 1:4; მორტონი — ფორფარი 1:1; სტენჰაუზმური — ჰამილტონი 0:3

### მესამე დივიზიონი

**80-12 ტური:** ისტ სტირლინგი — სტრანრარი 1:4; გრეტნა — ელგინი 2:2; მონტროუზი — ალბიონი 1:0; პიტერჰედი — სტირლინგი 2:2; ქუინზ პარკი — კოუდენბითი 0:0

## თურქეთი
### სუპერლიგა. XII ტური

ელაზიგი — ისთანბული 1:1; დიარბაქირი — მალათია 2:0; გაზიანთეფი — დენიზლი 1:2; გენჩლერი — ბეშიქთაში 1:2; გალათასარაი — ანკარაგიუჯიუ 2:1; ადანა — სებათი 1:2; კონია — სამსუნი 0:0; ფენერბაჰჩე — რიზე 1:1; ტრაბზონი — ბურსა 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 12 | 10 | 2 | 0 | 30:7 | 32 |
| გალათასარაი | 12 | 8 | 3 | 1 | 20:12 | 27 |
| ფენერბაჰჩე | 12 | 7 | 4 | 1 | 27:14 | 25 |
| ტრაბზონი | 12 | 7 | 2 | 3 | 16:12 | 23 |
| მალათია | 12 | 7 | 1 | 4 | 19:11 | 22 |
| დენიზლი | 12 | 6 | 2 | 4 | 22:13 | 20 |
| გაზიანთეფი | 12 | 6 | 1 | 5 | 17:15 | 19 |
| ისთანბული | 12 | 5 | 3 | 4 | 20:15 | 18 |
| გენჩლერი | 12 | 5 | 1 | 6 | 22:13 | 16 |
| რიზე | 12 | 4 | 4 | 4 | 11:14 | 16 |
| დიარბაქირი | 12 | 4 | 2 | 6 | 16:18 | 14 |
| ანკარაგიუჯიუ | 12 | 4 | 2 | 6 | 14:20 | 14 |
| კონია | 12 | 2 | 6 | 4 | 13:19 | 12 |
| სამსუნი | 12 | 3 | 3 | 6 | 16:24 | 12 |
| ბურსა | 12 | 2 | 4 | 6 | 13:19 | 10 |
| სებათი | 12 | 2 | 2 | 8 | 13:23 | 8 |
| ადანა | 12 | 2 | 1 | 9 | 8:28 | 7 |
| ელაზიგი | 12 | 1 | 3 | 8 | 13:33 | 6 |

## შვეიცარია
### თასის 1/8 ფინალი

აარაუ — სენტ გალენი 1:2დ.დ.(1:1); ბიული — თუნი 0:4; გრასჰოპერი — ბაზელი 1:0; ერისო — ციურიხი 2:4; მალკანტონე — იანგ ბოიზი 2:1; ტუგენი — მეირინი 1:2; ვინტერთური — ქსამაქსი 2:3; ივერდონი — ვილი 0:1

## ავსტრია
### მაქსბუნდესლიგა XVII ტური

ბრეგენცი — პაშინგი 1:2; მატერსბურგი — გრაცერი 0:0; შტურმი — ადმირა 2:0; აუსტრია — ზალცბურგი 0:0; კერნტენი — რაპიდი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 17 | 11 | 2 | 4 | 31:22 | 35 |
| აუსტრია | 17 | 9 | 5 | 3 | 27:12 | 32 |
| გრაცერი | 17 | 9 | 4 | 4 | 27:18 | 31 |
| პაშინგი | 17 | 8 | 3 | 6 | 27:24 | 27 |
| ბრეგენცი | 17 | 8 | 3 | 6 | 27:27 | 27 |
| მატერსბურგი | 17 | 5 | 6 | 6 | 20:24 | 21 |
| ადმირა | 17 | 5 | 4 | 8 | 22:23 | 19 |
| შტურმი | 17 | 4 | 4 | 9 | 17:25 | 16 |
| ზალცბურგი | 17 | 4 | 2 | 11 | 20:24 | 14 |
| კერნტენი | 17 | 3 | 5 | 9 | 15:34 | 14 |

### I დივიზიონი. XIX ტური

უნტერზიბენბრიუნი — კაპფენბერგი 4:4; ლეობენი — ლინცერი 3:3; რიდი — ლუსტენაუ 3:0; აუსტრია (ლ) — ტიროლი 3:1; ვიორგლი — ბად ბლაიბერგი 1:0

## რუსეთი
### თასის 1/16 ფინალი I მატჩები

ლოკომოტივი — ხიმკი 4:0; სპარტაკი — კუბანი 1:2

### თასის 1/8 ფინალი. I მატჩები

კრილია სოვეტოვი — ზენიტი 0:0; დინამო — როტორი 2:1; სატურნი — როსტოვი 2:2; ცსკა — ურალანი 4:0

## ბუნდესლიგა
### XII ტური

**ფრაიბურგი 3:2 ვოლფსბურგი**

1:0, 2:0 იაშვილი (31, 33), 2:1 ტოპიჩი (62), 3:1 იაშვილი (76), 3:2 ფრანცი (90)
ფრაიბურგი: გოლცი, კონდე, ბ. დიარა, კრუპკე (ვილი 89), ბერნერი, ბაირამოვიჩი, რაიტერი, ცხიტიშვილი, კულიბალი, იაშვილი (გუიემიენი 83), სანუ (შ. მიულერი 73)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
ვოლფსბურგი: იენჩი, ბილიშკოვი, შარპეი, ტიამი (პრგოვიჩი 61), შნოორი, ვაიზერი (ფრანცი 68), მენსეგეში, დალესანდრო, კარჰანი, ბაიანო (ტოპიჩი 46), კლიმოვიჩი
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
გაფრთხილება: კონდე, კარჰანი, ფრანცი
მსაჯი: ვაკი
23 000 მაყურებელი

**ლევერკუზენი 3:1 შალკე**

1:0 ბერბატოვი (3), 1:1 ჰანკე (13), 2:1 ბაბიჩი (24), 3:1 ბიროფკა (57)
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ჟუანი, ლუსიო, ნოვოტნი (ჰერჩი 65), ბალიტჩი, ბ. შნაიდერი, ბიროფკა, ბაბიჩი, პონტე, ბერბატოვი (ნოივილი 43), ფრანცა (ფრიცი 84)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
შალკე: ფ. როსტი, ჰაიტო, ვალდოხი (კლასენერი 17), მატელანი, კობიაშვილი, უდე კამპუისი, ვერმანტი (ჰამიტ ალტინტოპი 69), ასამოა, ტროიანი (პინტუ 69), ჰანკე, სანდი
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
გაფრთხილება: პონტე, კობიაშვილი, ვალდოხი, ჰაიტო, ასამოა
გაძევება: მატელანი (50)
მსაჯი: ფანდელი
22 500 მაყურებელი

**აინტრახტი 0:2 შტუტგარტი**

0:1 საბიჩი (8), 0:2 კურანი (69)
აინტრახტი: ნიკოლოვი, ბინდევალდი, ცომუ-მადზა, ჩიპი, ვიდენერი, შური, პროისი, კროიცი (ჩა 70), შკელა, მიოლერი (ლექსა 56), ბაიერლე (ფრომერი 70)
მწვრთნელი: ვილი რაიმანი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მეირა, ვენცელი, ლამი, მაისნერი, სოლდო, ჰელდტი (ამანატიდისი 67), გლები (ტიფერტი 55), კურანი (სენტურიონი 83), საბიჩი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: ცომუ-მადზა, შკელა, ბაიერლე, ჰინკელი
გაძევება: ჩიპი (89), მეირა (89)
მსაჯი: კემლინგი
26 000 მაყურებელი

**ჰანოვერი 1:5 ვერდერი**

0:1, 0:2 ვალდესი (8, 37), 0:3 კლასნიჩი (41), 1:3 სტაინერი (55), 1:4 კლასნიჩი (79), 1:5 ერნსტი (87)
ჰანოვერი: ციგლერი, ზურავი, კონსტანტინიდისი, ვინიციუსი, ჩერუნდოლო, დაბროვსკი, შტეფული (იდრისუ 46), კრუპნიკოვიჩი (ჯეფაფლია 85), შტენდელი, ბრდარიჩი (ვოლფი 82), სტაინერი
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
ვერდერი: რაინკე, დაჲალა უმითი, ისმაელი, კრსტაიჩი, სტალტერი, ფ. ბაუმანი, ლისტეში (ბოროვსკი 84), ფ. ერნსტი, მიკუ, კლასნიჩი (ხარისტიასი 79), ვალდესი (დაუნი 81)
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: ჩერუნდოლო, ერნსტი
მსაჯი: შტარკი
25 894 მაყურებელი

**ბაიერნი 4:1 დორტმუნდი**

1:0 ბალაკი (27), 1:1 კოლერი (47), 2:1 სანიოლი (60), 3:1 სალიჰამიჯიჩი (72), 4:1 პიზარო (90)

# ბაიერნმა დორტმუნდს თავი დაარტყა

ბაიერნი: კანი, სანიოლი, კუფური, რ. კოვაჩი, ლიზარაზუ, სალიჰამიჯიჩი, იერემისი, ბალაკი, დაისლერი (ზე რობერტო 64), მაკაი, სანტა კრუზი (კ. პიზარო 74)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, მ. მეცელდერი, შ. როიტერი, ვიორნსი, ხ. ფერნანდესი, ბრჟენსკა, ნ. იენსენი, სენესიე, რიკენი, კოლერი, ევერტონი (ოდონკორი 82)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: სალიჰამიჯიჩი, ფერნანდესი, ბრჟენსკა, ევერტონი
გაძევება: ბრჟენსკა (43)
მსაჯი: მერკი
63 000 მაყურებელი

**ჰამბურგი 3:1 მიუნხენი**

1:0 რომეო (53), 1:1 შვარცი (57), 2:1 რომეო (75), 3:1 მაჰდავიკია (77პ)
ჰამბურგი: ვიახტერი, შლიკე (იაკობსენი 61), ჰოოგმა, უიფალუში, ვიკი, მალტრიცი, იაროლიმი (ბენჟამინი 79), ბაინლიხი (კარდოზო 88), მაჰდავიკია, ბარბარესი, რომეო
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
მიუნხენი: მ. ჰოფმანი, შტრანცლი (გიორლიცი 49), ტ. ჰოფმანი, როდრიგო კოშტა, ტისი, ჩერნი, რ. მაიერი (ბორიმიროვი 85), შვარცი, ვაისენბერგერი, ლაუტი, კიოიო (აგოსტინო 73)
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
გაფრთხილება: უიფალუში, იაროლიმი, ბარბარესი, მაიერი, ტისი, როდრიგო კოშტა, გიორლიცი
მსაჯი: იანსენი
44 947 მაყურებელი

**ჰერტა 2:1 მიონხენგლადბახი**

0:1 სვერკოში (7), 1:1 ლუიზაო (16), 2:1 მადლუნგი (86)
ჰერტა: კირალი, ფრიდრიხი, რემერი (ლაპაჩინსკი 74), ვან ბურიკი, შიმუნიჩი, დარდაი (მადლუნგი 86), ნ. კოვაჩი, გოორი, მარსელინიო, ბობიჩი (რაფაელი 73), ლუიზაო
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
მიონხენგლადბახი: შტილი, კორზინეცი, ასანინი, შტრასერი, ოჯიგვე, კლუგე (გაედე 81), ულიხი, კოლკა, დემო (ვან ჰუტი 72), ვან ლენტი, სვერკოში (აიდოო 83)
მწვრთნელი: ჰოლგერ ფახი
გაფრთხილება: ბობიჩი, ულიხი, კორზინეცი, კოლკა
გაძევება: აიდოო (90), მარსელინიო (90)
მსაჯი: კესლერი
32 983 მაყურებელი

**ჰანზა 4:0 კაიზერსლაუტერნი**

1:0 რიდლევიჩი (15), 2:0, 3:0 დი სალვო (22, 33), 4:0 მაქსი (79)
ჰანზა: შობერი, მიორლე, ჰილი, ტიკუზუ (ვიმერი 83), პერსონი, მაული, რიდლევიჩი, ლანცი, შულცი, მაქსი (არვიდსონი 79), დი სალვო (პრიკა 73)
მწვრთნელი: იური შლიუნცი
კაიზერსლაუტერნი: ვიზე (თ. ერნსტი 13), გრამოცისი, ლემბი, მეტომო, ჩატო, ჰენგენი, ფროინდი (კნავსი 46), ხრისტოვი, დომინგეში (ჰალილ ალტინტოპი 46), კოსოვსკი, კლოზე
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
გაფრთხილება: ჰილი, მეტომო, შულცი, დი სალვო, გრამოცისი, ჩატო
გაძევება: მეტომო (36)
მსაჯი: ვაინერი
14 600 მაყურებელი

**ბოხუმი 4:0 კიოლნი**

1:0 ჰაშემიანი (7), 2:0 მადსენი (15), 3:0 კალა (45), 4:0 სტევიჩი (87)
ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, კოლდინგი, კალა, ფარენჰორსტი, ბიონიგი, ცდებელი, ოლისე, ვოში (სტევიჩი 68), ფრაიერი (ბაკლი 57), პ. მადსენი, ჰაშემიანი (დიაბანგი 77)
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
კიოლნი: ვესელსი, კულმანი, ტ. კლოსი, სიხონე (ო. შრიოდერი 19), ჰაინრიხი, კრინგე, შპრინგერი, ლოტნერი, ჰელბიგი (ვოიგტი 59), ვორონინი (ებერსი 76), შერცი
მწვრთნელი: მარსელ კოლერი
გაფრთხილება: კლოსი, კრინგე, კულმანი
მსაჯი: მაიერი
30 777 მაყურებელი

„სწორი გეზი გვაქვს აღებული და ეს გამარჯვება ამისკენ მორიგი ნაბიჯია — უთქვამს ნამატჩევს მიუნხენის „ბაიერნის" დამრიგებელ ოტმარ ჰიცფელდს და ესეც დაუყოლებია — თამაშის წინ ფეხბურთელებს ბევრი ველაპარაკე და ამან გაამართლა. გავრისკეთ, რადგან ზედმიწევნით შემტევი ფეხბურთი ვითამაშეთ, რათა მატჩი მეტოქის კარნახით არ წარმართულიყო".

სებასტიან დაისლერმა ჯარიმიდან დააბზრიალა ბურთი ვაიდენფელერის კარის ახლო ძელთან და მიხაელ ბალაკის თავური უნაკლო გამოდგა. ტაიმის ბოლოს დორტმუნდის „ბორუსია" მარკუს ბრჟენსკამ დაალალატა — ის ორი გაფრთხილების გამო გააძევეს, თუმც შესვენების შემდეგ ოთხი წუთი გავიდა და „დორტმუნდმა" გაათანაბრა — ბიქსენტ ლიზარაზუს შეცდომა იან კოლერმა საგოლედ გამოიყენა. მაგრამ რამდენიმე წამში ვილი სანიოლმა თავურით კვლავ დააწინაურა „ბაიერნი" — საგოლე ჩაწოდება ამჯერადაც დაისლერის იყო. შემდეგ ჰასან სალიჰამიჯიჩმა მოუქნია ბურთს თავი და 3:1. ბოლო წამებზე კლაუდიო პიზარომაც გაიხარა ახლოდან გატანილი გოლით.

ლევერკუზენის „ბაიერს" იღბალიც კარგა მაგრად მოეხმარა „შალკეს" ძლევაში. მასპინძლებმა ადრეული გოლი გაიტანეს, მაგრამ „ხუმარათა" ამომავალმა ვარსკვლავმა მაიკ ჰანკემ თავურით მალევე გაათანაბრა. ფორტუნამ ამის მერე გაუღიმა „ლევერკუზენს" — მარკო ბაბიჩმა რიკოშეტის წყალობით გაიტანა ჯარიმა, მერე „შალკეს" არგენტინელმა მცველმა ანიბალ მატელანმა ოლივერ ნოივილი მოცელა და საკუთარი გუნდი კაცნაკლული დატოვა — მატელანი გააძევეს.

წვეულებაზე იაშვილთან — დაახლოებით ასე შეამკო „ფრაიბურგ" — „ვოლფსბურგის" მატჩი საავენტო „როიტერმა" — ალექსანდრე იაშვილმა პირველი ბუნდესლიგური ჰეთ თრიქი თავის მე-100 ბუნდესლიგურ მატჩში გააჩერხა.

„აინტრახტი" — „შტუტგარტის" შეხვედრაში განსაკუთრებული ის მოხდა, რომ გერი ჩიპი და ფერნანდო მეირა ერთმანეთისადმი ფეხების ქნევისთვის მიაბრძანეს მოედნიდან, თორემ მაგათელების სამი ქულა არავის გაჰკვირვებია.

ბერლინის „ჰერტამ" ამ სეზონში შინ პირველად მოიგო, რასაც შეცვლაზე შესულ ალექსანდერ მადლუნგის თავურს უნდა უმადლოდეს. ორი წითელი ბარათი დედაქალაქშიც აფრიალდა — ლოურენს აიდოოს და მარსელინიოს გაწევ-გამოწევა არ აპატიეს.

ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო „ვერდერმა" — ბრემენელი „მუსიკოსები" ჰანოვერში დაფრინავდნენ — ამ ბუნდესლიგაში ეს მათი მეხუთე გამარჯვებაა სტუმრად.

როსტოკის „ჰანზას" მიჯრით რვა თამაში არ მოეგო და როგორც ჩანს, ჯავრი მთლიანად „კაიზერსლაუტერნზე" იყარა — ოთხიდან ორი გოლი იტალიელმა შემტევმა ანტონიო დი სალვომ გაიტანა.

„კიოლნს" პირველად უთავკაცა მარსელ კოლერმა და საშინელი დებიუტიც გამოუვიდა. „ჰამბურგმა" კი კლაუს ტოპმიოლერის ხელმძღვანელობით დამაჯერებლად სძლია „მიუნხენ 1860"-ს — ფეხმტკივანი ბერნანდო რომეო მინდორზე მაინც გავიდა და ორი გოლიც გაიტანა.

**დავით თავართქილაძე**



ბაიერნი — დორტმუნდი. რომან ვაიდენფელერს ჰასან სალიჰამიჯიჩმაც უთავაზა

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| აილტონი (ვერდერი) | 10 |
| კლიმოვიჩი (ვოლფსბურგი) | 8 |
| მაქსი (ჰანზა) | 8 |
| ჰაშემიანი (ბოხუმი) | 8 |
| კოლერი (დორტმუნდი) | 7 |
| იაშვილი (ფრაიბურგი) | 6 |
| კლასნიჩი (ვერდერი) | 6 |
| კლოზე (კაიზერსლაუტერნი) | 6 |
| მადსენი (ბოხუმი) | 6 |
| მიკუ (ვერდერი) | 6 |
| მაკაი (ბაიერნი) | 6 |
| რომეო (ჰამბურგი) | 6 |

### XIII ტური

22 ნოემბერი

ვოლფსბურგი — გლადბახი
ლაუტერნი — ჰერტა
ფრაიბურგი — აინტრახტი
შტუტგარტი — ჰანოვერი
ვერდერი — ბოხუმი
კიოლნი — ჰამბურგი
მიუნხენი — ბაიერნი
დორტმუნდი — ლევერკუზენი
შალკე — ჰანზა

## მეორე ბუნდესლიგა
### XII ტური

**მაინცი 1:3 ფიურტი**

1:0 კრამნი (2), 1:1 რუმანი (20), 1:2 ბურხარდტი (74), 1:3 რუმანი (90)

**ობერჰაუზენი 2:1 რეგენსბურგი**

1:0 რიტპიჩი (16), 1:1 ნსანივა (20), 2:1 უედრაოგო (90)

**ოსნაბრიუკი 3:0 ტრირი**

1:0 კლასენი (22), 2:0, 3:0 შიდი (51, 73)

**ალენი 2:2 უნტერჰახინგი**

0:1, 0:2 კოპადო (46, 66), 1:2 ბელა (77), 2:2 შოპიჩი (80)

**ალემანია 2:0 არმინია**

1:0 გრლიჩი (28პ), 2:0 გომესი (87)

**ბურგჰაუზენი 1:2 დუისბურგი**

1:0 მატოს-პერეირა (29), 1:1 აჰანფუფი (39), 1:2 შპიზაკი (87)

**კარლსრუე 1:0 ლიუბეკი**

1:0 კეისი (34)

**ნიურნბერგი 3:0 უნიონი**

1:0 ვიტეკი (9), 2:0 მინტალი (49), 3:0 კრჟინოვეკი (53)

**კოტბუსი — აუე**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალემანია | 12 | 7 | 2 | 3 | 25:21 | 23 |
| კოტბუსი | 11 | 6 | 2 | 3 | 21:17 | 20 |
| კარლსრუე | 12 | 6 | 2 | 4 | 16:14 | 20 |
| ნიურნბერგი | 12 | 5 | 4 | 3 | 23:17 | 19 |
| ობერჰაუზენი | 12 | 5 | 4 | 3 | 21:17 | 19 |
| მაინცი | 12 | 5 | 4 | 3 | 20:16 | 19 |
| არმინია | 12 | 6 | 1 | 5 | 17:15 | 19 |
| დუისბურგი | 12 | 5 | 4 | 3 | 17:16 | 19 |
| ფიურტი | 12 | 4 | 4 | 4 | 23:19 | 16 |
| ლიუბეკი | 12 | 4 | 4 | 4 | 22:19 | 16 |
| უნტერჰახინგი | 12 | 4 | 4 | 4 | 18:21 | 16 |
| ბურგჰაუზენი | 12 | 4 | 3 | 5 | 16:15 | 15 |
| ოსნაბრიუკი | 12 | 3 | 4 | 5 | 14:18 | 13 |
| რეგენსბურგი | 12 | 3 | 4 | 5 | 15:20 | 13 |
| აუე | 11 | 3 | 3 | 5 | 11:13 | 12 |
| უნიონი | 12 | 3 | 3 | 6 | 13:16 | 12 |
| ტრირი | 11 | 3 | 3 | 5 | 16:21 | 12 |
| ალენი | 12 | 3 | 1 | 8 | 14:24 | 10 |
| აინტრახტი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

**მე-15 ტური:** ზანქტ პაული — ნოიმიუნსტერი 1:1; ვატენშაიდი — იურდინგენი 1:0; მიუნსტერი — ბრაუნშვაიგი 0:2; კილი — დორტმუნდი (მ) 3:1; ქემნიცი — პადერბორნი 1:2; ვუპერტალი — კიოლნი (მ) 3:0; დინამო — ვერდერი (მ) 2:0; ჰამბურგი (მ) — ლაიპციგი 1:1; ესენი — შალკე (მ) 4:0

### სამხრეთ რეგიონალლიგა

**მე-15 ტური:** ვეჰენი — ზაარბრიუკენი 1:1; პფულენდორფი — ზიგენი 2:0; ერფურტი — შვაინფურტი 5:0; ფოიხტი — ეშბორნი 3:1; მაინცი (მ) — აალენი 1:3; ჰოფენჰაიმი — კიკერსი 3:1; აუგსბურგი — კაიზერსლაუტერნი (მ) 3:0; შტუტგარტი (მ) — ბაიერნი (მ) 1:3; ელვერსბერგი — ოფენბახი 2:2

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 შტუტგარტი | 12 | 9 | 3 | 0 | 19:2 | 17 | 30 | 6 | 4 | 2 | 0 | 8:1 | 7 | 14 | 6 | 5 | 1 | 0 | 11:1 | 10 | 16 |
| 2 ლევერკუზენი | 12 | 9 | 2 | 1 | 26:8 | 18 | 29 | 6 | 6 | 0 | 0 | 16:2 | 14 | 18 | 6 | 3 | 2 | 1 | 10:6 | 4 | 11 |
| 3 ვერდერი | 12 | 9 | 1 | 2 | 34:16 | 18 | 28 | 6 | 4 | 1 | 1 | 16:10 | 6 | 13 | 6 | 5 | 0 | 1 | 18:6 | 12 | 15 |
| 4 ბაიერნი | 12 | 7 | 3 | 2 | 29:16 | 13 | 24 | 6 | 5 | 1 | 0 | 20:7 | 13 | 16 | 6 | 2 | 2 | 2 | 9:9 | 0 | 8 |
| 5 დორტმუნდი | 12 | 7 | 1 | 4 | 23:17 | 6 | 22 | 6 | 6 | 0 | 0 | 19:6 | 13 | 18 | 6 | 1 | 1 | 4 | 4:11 | -7 | 4 |
| 6 ბოხუმი | 12 | 6 | 3 | 3 | 24:13 | 11 | 21 | 6 | 4 | 2 | 0 | 15:3 | 12 | 14 | 6 | 2 | 1 | 3 | 9:10 | -1 | 7 |
| 7 ვოლფსბურგი | 12 | 6 | 0 | 6 | 25:23 | 2 | 18 | 6 | 5 | 0 | 1 | 17:7 | 10 | 15 | 6 | 1 | 0 | 5 | 8:16 | -8 | 3 |
| 8 მიუნხენი | 12 | 5 | 2 | 5 | 13:16 | -3 | 17 | 6 | 4 | 1 | 1 | 8:6 | 2 | 13 | 6 | 1 | 1 | 4 | 5:10 | -5 | 4 |
| 9 ფრაიბურგი | 12 | 4 | 3 | 5 | 18:22 | -4 | 15 | 6 | 4 | 1 | 1 | 14:10 | 4 | 13 | 6 | 0 | 2 | 4 | 4:12 | -8 | 2 |
| 10 ჰანოვერი | 12 | 4 | 3 | 5 | 21:28 | -7 | 15 | 6 | 1 | 3 | 2 | 11:14 | -3 | 6 | 6 | 3 | 0 | 3 | 10:14 | -4 | 9 |
| 11 შალკე | 12 | 3 | 5 | 4 | 15:19 | -4 | 14 | 6 | 2 | 3 | 1 | 7:6 | 1 | 9 | 6 | 1 | 2 | 3 | 8:13 | -5 | 5 |
| 12 ჰამბურგი | 12 | 3 | 3 | 6 | 14:25 | -11 | 12 | 6 | 3 | 1 | 2 | 9:10 | -1 | 10 | 6 | 0 | 2 | 4 | 5:15 | -10 | 2 |
| 13 ლაუტერნი | 12 | 4 | 2 | 6 | 13:20 | -7 | 11 | 6 | 2 | 2 | 2 | 7:4 | 3 | 8 | 6 | 2 | 0 | 4 | 6:16 | -10 | 6 |
| 14 ჰერტა | 12 | 2 | 5 | 5 | 10:21 | -11 | 11 | 6 | 1 | 2 | 3 | 6:12 | -6 | 5 | 6 | 1 | 3 | 2 | 4:9 | -5 | 6 |
| 15 ჰანზა | 12 | 2 | 3 | 7 | 16:21 | -5 | 9 | 6 | 2 | 0 | 4 | 8:7 | 1 | 6 | 6 | 0 | 3 | 3 | 8:14 | -6 | 3 |
| 16 აინტრახტი | 12 | 2 | 2 | 8 | 9:19 | -10 | 8 | 6 | 1 | 1 | 4 | 4:8 | -4 | 4 | 6 | 1 | 1 | 4 | 5:11 | -6 | 4 |
| 17 გლადბახი | 12 | 1 | 4 | 7 | 8:18 | -10 | 7 | 6 | 1 | 3 | 2 | 4:6 | -2 | 6 | 6 | 0 | 1 | 5 | 4:12 | -8 | 1 |
| 18 კიოლნი | 12 | 2 | 1 | 9 | 9:22 | -13 | 7 | 6 | 2 | 0 | 4 | 7:11 | -4 | 6 | 6 | 0 | 1 | 5 | 2:11 | -9 | 1 |

*„კაიზერსლაუტერნს" დაკლებული აქვს 3 ქულა*

# შირას და ოქროს ბიჭის გარეშე ალარ გვერიდება!

## ლიდსმა ხასიათი გამოიცვალა



პიტერ რიდი

### ინგლისი

#### პრემიერლიგა. XII ტური

**არსენალი 2:1 ტოტენჰემი**

0:1 ანდერტონი (5), 1:1 პირესი (69), 2:1 ლიუნგბერგი (79)

**არსენალი:** ლემანი, ლორენი (სიგანი 61), ს. კემპბელი, კ. ტურე, ელში კოული, ლიუნგბერგი, პარლოუ, ჟილბერტო სილვა (ბერხკამპი 61), პირესი, ანრი, კანუ (ედუ 82)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

**ტოტენჰემი:** კელერი, კარი, ე. გარდნერი, რიჩარდსი, ტარიკო, დალმა (გ. რიკეტსი 82), ანდერტონი, კინგი, კონჩესკი (მაბიზელა 73), რობი კინი, პოსტიგა (ზამორა 82)

მწვრთნელი: დევიდ პლიტი

გაფრთხილება: პარლოუ, კონჩესკი, ანდერტონი, რიჩარდსი, ტარიკო

მსაჯი: ჰალსი

38 101 მაყურებელი

**ჩელსი 5:0 ნიუკასლი**

1:0 ჯონსონი (25), 2:0 კრესპო (40), 3:0 ლამპარდი (42პ), 4:0 დაფი (78), 5:0 გუდიონსენი (84)

**ჩელსი:** კუდიჩინი, გ. ჯონსონი (ჰათი 89), გალასი, ტერი, ბრიჯი, ვერონი, მაკელელე, ლამპარდი, დაფი, კრესპო (გუდიონსენი 68), მუტუ (ჯ. კოული 64)

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

**ნიუკასლი:** გივენი, ა. ჰიუზი, ობრაიენი, ბრემბლი, ბერნარი, სპიდი, ბოიერი, ჯენასი, რობერი (ლუა ლუა 76), ვიანა (კოლდუელი 46), ამეობი

მწვრთნელი: ბობი რობსონი

გაძევება: ობრაიენი (42)

მსაჯი: დარკინი

41 332 მაყურებელი

**ლივერპული 1:2 მანჩესტერი**

0:1, 0:2 გიგზი (59, 70), 1:2 კიუელი (76)

**ლივერპული:** დუდეკი, ფინანი, ბისკანი, ჰიიპია, ტრაორე, დიუფი (ლე ტალეკი 70), დენი მერფი, ჯერარდი, შმიცერი (სინამა-პონგოლე 63), კიუელი, ჰესკი

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

**მანჩესტერი:** ჰოვარდი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, მ. სილვესტრი, ოში, კ. ფორჩუნი (ფლეტჩერი 83), ფ. ნევილი, როი კინი, გიგზი, ვან ნისტელროი, ფორლანი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: დიუფი, ვან ნისტელროი, გ. ნევილი

მსაჯი: პოლი

44 160 მაყურებელი

**ასტონ ვილა 0:2 მიდლსბრო**

0:1 ზენდენი (30), 0:2 რიკეტსი (49პ)

**ასტონ ვილა:** სორენსენი, დილანი, მელბერგი, იონსენი, ჯ. სამუელი, ჰენდრი (ვასელი 51), გ. მაკკანი, ბერი (ჰიცლსპერგერი 51), უიტინგემი, ოლბოკი (დაბლინი 71), ანხელი

მწვრთნელი: დევიდ ოლირი

**მიდლსბრო:** ნეში, მილსი, კუპერი, საუთგეიტი, კედრუ, მენდიეტა, ბოატენგი, დორივა, ზენდენი, ჟუნინიო პაულისტა (გრინინგი 79), მ. რიკეტსი (მაკარონე 74)

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

გაფრთხილება: მელბერგი, დორივა, გრინინგი

მსაჯი: გალაჰერი

29 898 მაყურებელი

**მანჩესტერ სიტი 0:3 ლესტერი**

0:1 სტიუარტი (12), 0:2 დიკოვი (53პ), 0:3 ბენტი (58)

**მანჩესტერ სიტი:** სტურ-ელეგაარდი, ჟიხაი, დისტინი, რ. დანი, ტარნატი, ბერკოვიჩი, სიბიერსკი, მაკმანამანი, ჯ. ბარტონი (ბოსველტი 61), ანელკა, ვანჩოპე (ფაულერი 61)

მწვრთნელი: კევინ კიგანი

**ლესტერი:** უოქერი, შიმეკა, ჰაუი, ტეტჩერი, იმპი, იზეტი, მაკკინლი, ჯ. სტიუარტი, სკოუკროფტი, მ. ბენტი (ლ. ფერდინანდი 79), დიკოვი (ბინეტი 86)

მწვრთნელი: მიკი ადამსი

გაფრთხილება: დისტინი, ბოსველტი, იზეტი, მაკკინლი

მსაჯი: რაილი

46 966 მაყურებელი

**პორტსმუთი 6:1 ლიდსი**

1:0 სტეფანოვიჩი (17), 1:1 სმიტი (19), 2:1 ონილი (45), 3:1 ფოქსი (63), 4:1 ონილი (71), 5:1 ბერგერი (75), 6:1 აიეგბენი (86)

**პორტსმუთი:** ჰისლოპი, შემელი, ფოქსი, სტეფანოვიჩი, დე ზეუვი, სტოუნი (მეთიუ ტეილორი 84), შერვუდი, ონილი, ბერგერი, შერინგემი, აიეგბენი

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

**ლიდსი:** პ. რობინსონი, გ. კელი, მატეო, დაბერი, ოლემბე, პენანტი (საკო 56), ჯ. მორისი, როკე ჟუნიორი (ბრიჯისი 72), ს. ჯონსონი, ა. სმიტი, მილნერი

მწვრთნელი: პიტერ რიდი

გაფრთხილება: დე ზეუვი, ოლემბე, ჯონსონი, სმიტი, მატეო

მსაჯი: ფოი

20 112 მაყურებელი

**ბოლტონი 0:0 საუთჰემპტონი**

**ბოლტონი:** იასკელაინენი, ჰანტი, ნგოტი, ჩარლტონი, რ. გარდნერი, კამპო, ნოლანი, ფრანდსენი, ოკოჩა, იანაკოპულოსი (პედერსენი 76), კ. დევისი (ჟარდელი 67)

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

**საუთჰემპტონი:** ნიემი, დოდი, ლუნდეკვამი, მიხაელ სვენსონი, ლე სო, ტელფერი, დელაპი, ა. სვენსონი, მარსდენი, ბიტი, ფილიპსი (ჰიგინბოთემი 87)

მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი

გაფრთხილება: კამპო, ჟარდელი, დოდი, მ. სვენსონი

მსაჯი: ვები

25 619 მაყურებელი

**ჩარლტონი 3:1 ფულემი**

1:0 სტიუარტი (10), 2:0, 3:0 იოჰანსონი (69, 76), 3:1 დევისი (89)

**ჩარლტონი:** კიელი, კიშიშევი, ფიში, პერი, ჰრეიდარსონი, ჰოლანდი, პარკერი (კ. პაუელი 80), კ. იენსენი (იუელი 39), გ. სტიუარტი, ლისბი (დი კანიო 85), ჯ. იოჰანსონი

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

**ფულემი:** ვან დერ სარი, ვოლცი, ნაითი, მელვილი, ბონისელი, ინამოტო (შ. დევისი 70), ლეგვინსკი, კლარკი, მალბრანკი, ბოა მორტე (პეილსი 62; პრეტლი 74), საჰა

მწვრთნელი: კრის კოულმენი

გაფრთხილება: პერი, ინამოტო, ლეგვინსკი

მსაჯი: დურსო

26 344 მაყურებელი

**ვულვერჰემპტონი 1:1 ბირმინგემი**

0:1 ფორსელი (49), 1:1 ივერსენი (66)

**ვულვერჰემპტონი:** ოუქსი, ნეილორი, კრადოკი, ბატლერი, ირვინი (კლაიდი 88), კენედი, რაე, ინსი, ა. კამარა, ივერსენი, მილერი (ნიუტონი 57)

მწვრთნელი: დეივ ჯონსი

**ბირმინგემი:** მაიკ ტეილორი, კლემპამი, კანინგემი, აპსონი, დ. ჯონსონი, ბ. ჰიუზი (ჯონი 88), კლემენსი, სევიჯი, დ. დანი, დიუგარი (ლაზარიდისი 80), ფორსელი

მწვრთნელი: სტივ ბრიუსი

გაფრთხილება: ირვინი, ინსი, დიუგარი

მსაჯი: ბარბერი

28 831 მაყურებელი

**ბლეკბერნი — ევერტონი**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

კვირას დილიდან, დღის განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა პრემიერლიგის საჩემპიონო ფსონები. შაბათ საღამოდან ფავორიტი „არსენალი" იყო, რომელმაც ჩრდილოლონდონურ დერბიში „ჰაიბერიზე" დაამარცხა „ტოტენჰემი", რომელსაც ამ სტადიონზე ათი წელიწადია არ მოუგია, თუმცაღა, მაინც სარგებლობს ჯოჯოხეთური მეზობლის სახელით, რასაც ინგლისში ცუდ მეზობელზე იტყვიან ხოლმე.

რაც უნდა ჩავარდნილი იყოს „ტოტენჰემი", ამ ჩრდილოლონდონურ თამაშს მაინც გაალმასებით ხვდება და ახლაც, თუმცა არ ჰყავდა მთავარმეგოლე ფრედი კანო, ბოლმითა და თავგანწირვით ირჯებოდა სამტრო მინდორზე. და, რა თქმა უნდა, გულები მეტის სიმშვიდით აძგერდა, როცა დარენ ანდერტონმა, კაცმა-ბიულეტენმა უკვე მეხუთე წუთზე, ოსტატურად რომ შეიპარა მასპინძელთა საჯარიმოში, ბურთი ასევე ოსტატურად ჩააცურა კარში.

საათზე მეტ ხანს „ტოტენჰემი" უგებდა „არსენალს", რომელსაც ცდა არ დაუკლია და გვარიანი ცეცხლიც დაანთო, განთქმული სიჩქარეებიც ჩართო და ბურთიც კარგახანს ატრიალა კარის წინ, მაგრამ თამაში ისე გადასცდა შუაწელს და ბოლოსკენ ისე წავიდა, ანგარიში ვერ შეცვალა.

ამასობაში კი სტუმარი ელდერ პოსტიგა ორჯერ დარჩა ლემანის პირისპირ და ანგარიში იმანაც ვერ შეცვალა. გოლი კი მოჰყვა რეი პარლოუს გრძელ პასს: ტიერი ანრი მარჯვენიდან შევარდა საჯარიმოში და ჩვეულად დაარტყა შორეულ დაბალ კუთხეში, კეისი კელერმა სწორედ რობერ პირესის ფეხზე მოიგერია ბურთი და ანგარიშიც გათანაბრდა. ამ გოლიდან ხუთიოდე წუთი გავიდა და „არსენალს" განგება წაეხმარა: ფრედი ლიუნგბერგის მოქნეული ბურთი სტივ კარის ფეხიდან ავარდა და სულ სხვა მხარეს, ჩაკიდულივით ჩაფრინდა კარში. „არსენალმა" კვლავ მოიგო, „ტოტენჰემი" კვლავ დამარცხდა, „ჩელსის" და „მანჩესტერს" რომც მოეგოთ, არსენ ვენგერის გუნდს ამ ტურში ველარაფრით დაეწეოდნენ. „მე მაინც კმაყოფილი ვარ — თქვა წაგებულთა დროებითმა მენეჯერმა დევიდ პლიტმა — „პოსტიგას გასაოცარი გოლები გააქვს ვარჯიშზე, მაგრამ თამაში სხვა გამოდგა".

კანოსი არ იყოს, ამ ტურს ორი სხვა მთავარმეგოლეც აკლდა: ალან შირერი გაციებულიყო, მაიკლ ოუენს კი კვლავ ფეხი ასტკივებოდა. ამ ორმა დანაკლისმაც გარკვეულად იმოქმედა ფსონებზე, იმიტომ, რომ კვირას ნაშუადღევს, „არსენალის" ჩემპიონობა უკვე 2/1-ზე ფასდებოდა, წინ კი გაჭრილიყო „მანჩესტერი", რომელმაც „ენფილდზე" დასცა „ლივერპული". შინ და გარეთ ზედიზედი გამარჯვებებით წელწამოდგმული ჟერარ ულიე ბოლო წუთებამდე არ იმჩნევდა, რომ ოუენი არ ეყოლებოდა და ერთი თავდამსხმელის, ემილ ჰესკის ანაბარა გაიყვანდა გუნდს. ცნობად: ჰესკიმ ერთადერთხელ დაარტყა კარის მიმართულებით, ხოლო მეორედ, თამაშის 92-ე წუთზე უნდა დაერტყა, როცა მეკარესთან პირისპირ დარჩა დენი მერფის ბრწყინვალე პასის შემდეგ, თუმცა გოლიათს ფეხი დაუცდა და „ლივერპულმა" ქულა ვერ მოიპოვა. ალექს ფერგიუსონის სიტყვით, ეს იყო ზღაპრული და დაუვიწყარი თამაში. უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ ყველაფერი გადაწყვიტა რაიან გიგზის ორმა დარტყმამ, რომელიც იმ საღამოს მისთვის უჩვეულო მარჯვენა ფლანგზე იყო გამწესებული.

გიგზის პირველი გოლი უფრო ჩახვეული კროსი გახლდათ, რომელსაც თავით ვერ მისწვდა რუუდ ვან ნისტელროი, მაგრამ ვერც იერჟი დუდეკი მისწვდა და ბურთი არეკნით შევარდა კარში. მეორედ, დიეგო ფორლანის კარის წინ გაჭრილ ბურთს კვლავ ასცდა ნისტელროი და მარჯვენა კუთხიდან შევარდნილმა



ჩელსი — ნიუკასლი. შეი გივენს საკონტროლო ეიდურ გუდიონსენმა დაახალა

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 არსენალი | 12 | 9 | 3 | 0 | 25:10 | 15 | 30 | 6 | 5 | 1 | 0 | 12:6 | 6 | 16 | 6 | 4 | 2 | 0 | 13:4 | 9 | 14 |
| 2 ჩელსი | 12 | 9 | 2 | 1 | 26:9 | 17 | 29 | 6 | 5 | 1 | 0 | 15:5 | 10 | 16 | 6 | 4 | 1 | 1 | 11:4 | 7 | 13 |
| 3 მანჩესტერი | 12 | 9 | 1 | 2 | 23:7 | 16 | 28 | 6 | 4 | 1 | 1 | 12:3 | 9 | 13 | 6 | 5 | 0 | 1 | 11:4 | 7 | 15 |
| 4 ჩარლტონი | 12 | 6 | 3 | 3 | 19:15 | 4 | 21 | 6 | 2 | 2 | 2 | 9:11 | -2 | 8 | 6 | 4 | 1 | 1 | 10:4 | 6 | 13 |
| 5 ბირმინგემი | 12 | 5 | 5 | 2 | 11:8 | 3 | 20 | 6 | 2 | 3 | 1 | 6:4 | 2 | 9 | 6 | 3 | 2 | 1 | 5:4 | 1 | 11 |
| 6 სიტი | 12 | 5 | 3 | 4 | 22:15 | 7 | 18 | 6 | 2 | 2 | 2 | 12:9 | 3 | 8 | 6 | 3 | 1 | 2 | 10:6 | 4 | 10 |
| 7 ფულემი | 12 | 5 | 3 | 4 | 22:18 | 4 | 18 | 6 | 2 | 2 | 2 | 10:9 | 1 | 8 | 6 | 3 | 1 | 2 | 12:9 | 3 | 10 |
| 8 ლივერპული | 12 | 5 | 2 | 5 | 18:14 | 4 | 17 | 6 | 2 | 1 | 3 | 8:8 | 0 | 7 | 6 | 3 | 1 | 2 | 10:6 | 4 | 10 |
| 9 საუთჰემპტონი | 12 | 4 | 5 | 3 | 10:7 | 3 | 17 | 6 | 3 | 1 | 2 | 5:3 | 2 | 10 | 6 | 1 | 4 | 1 | 5:4 | 1 | 7 |
| 10 ნიუკასლი | 12 | 4 | 4 | 4 | 16:18 | -2 | 16 | 6 | 2 | 2 | 2 | 6:4 | 2 | 8 | 6 | 2 | 2 | 2 | 10:14 | -4 | 8 |
| 11 პორტსმუთი | 12 | 4 | 3 | 5 | 17:16 | 1 | 15 | 6 | 4 | 0 | 2 | 15:6 | 9 | 12 | 6 | 0 | 3 | 3 | 2:10 | -8 | 3 |
| 12 მიდლსბრო | 12 | 4 | 2 | 6 | 11:15 | -4 | 14 | 6 | 2 | 0 | 4 | 6:10 | -4 | 6 | 6 | 2 | 2 | 2 | 5:5 | 0 | 8 |
| 13 ტოტენჰემი | 12 | 3 | 3 | 6 | 11:16 | -5 | 12 | 6 | 2 | 1 | 3 | 6:8 | -2 | 7 | 6 | 1 | 2 | 3 | 5:8 | -3 | 5 |
| 14 ბოლტონი | 12 | 2 | 6 | 4 | 9:19 | -10 | 12 | 6 | 1 | 4 | 1 | 5:4 | 1 | 7 | 6 | 1 | 2 | 3 | 4:15 | -11 | 5 |
| 15 ლესტერი | 12 | 3 | 2 | 7 | 19:21 | -2 | 11 | 6 | 2 | 2 | 2 | 10:8 | 2 | 8 | 6 | 1 | 0 | 5 | 9:13 | -4 | 3 |
| 16 ასტონ ვილა | 12 | 2 | 5 | 5 | 9:15 | -6 | 11 | 6 | 2 | 3 | 1 | 6:5 | 1 | 9 | 6 | 0 | 2 | 4 | 3:10 | -7 | 2 |
| 17 ევერტონი | 11 | 2 | 4 | 5 | 12:15 | -3 | 10 | 6 | 2 | 2 | 2 | 9:7 | 2 | 8 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:8 | -5 | 2 |
| 18 ვულვზი | 12 | 2 | 4 | 6 | 8:24 | -16 | 10 | 6 | 2 | 2 | 2 | 6:13 | -7 | 8 | 6 | 0 | 2 | 4 | 2:11 | -9 | 2 |
| 19 ბლეკბერნი | 11 | 2 | 2 | 7 | 15:21 | -6 | 8 | 5 | 1 | 0 | 4 | 8:10 | -2 | 3 | 6 | 1 | 2 | 3 | 7:11 | -4 | 5 |
| 20 ლიდსი | 12 | 2 | 2 | 8 | 11:31 | -20 | 8 | 6 | 1 | 2 | 3 | 5:10 | -5 | 5 | 6 | 1 | 0 | 5 | 6:21 | -15 | 3 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 10 |
| შირერი (ნიუკასლი) | 9 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერ იუნ.) | 8 |
| ანელკა (მანჩესტერ სიტი) | 8 |
| ოუენი (ლივერპული) | 8 |
| ბიტი (საუთჰემპტონი) | 7 |

**XIII ტური**

22 ნოემბერი

- ბირმინგემი — არსენალი
- ევერტონი — ვულვზი
- ფულემი — პორტსმუთი
- ლიდსი — ბოლტონი
- ლესტერი — ჩარლტონი
- მანჩესტერი — ბლეკბერნი
- მიდლსბრო — ლივერპული
- ნიუკასლი — სიტი
- საუთჰემპტონი — ჩელსი
- ტოტენჰემი — ასტონ ვილა

გიგზმა მეკარის ფეხის გაელით აასრულა დუბლი. მასპინძელთა შორის თვალსასეირო იყო მოედანზე ქარივით შემოვარდნილი ყრმა სინამა — პონგოლე, რომელმაც ერთხელ პენალტი კინაღამ მოინადირა, თუმცა რიო ფერდინანდი მაინც სუფთად გამოძვრა ამ მომენტიდან.

„მანჩესტერს" კი ორი ქულა აშორებს „მეთოფეებთან", მათ შუა დგას „ჩელსი", რომელმაც „სტემფორდ ბრიჯზე" დაადუღა „ნიუკასლი" და კიდევ ერთხელ შეცვალა საჩემპიონო ფსონი, რადგან „ჩელსიმ" თავისი საუკეთესო საშინაო თამაში უჩვენა „კაჭკაჭთა" წინააღმდეგ და ისევე, როგორც შუა კვირაში, საუკეთესო ევროპული თამაში გამოუვიდა რომში. შირერის გარეშე დარჩენილი „ნიუკასლი" უკბილო, საბრალო და აჭრილი იყო. წვიმიანი კვირა დღეც, რომელმაც „ლივერპულში" მხოლოდ ემილ ჰესკის გადაუბრუნა ფეხი, თითქოს მხოლოდ ნიუკასლელთა წინააღმდეგ ასველებდა მინდორს. ამას ისიც დაუმატეთ, რომ პირველ ტაიმშივე ენდი ობრაიენი გაუძევეს ბოლო იმედის ჯარიმისთვის.

ასე რომ, ახლა საჩემპიონო ფავორიტები „მანჩესტერი" და „ჩელსი" არიან, 13/8-ზე, ამათ მერე კი მოდის „არსენალი".

სამეულის მადევართა შორის ბევრმა ვერავინ იხეირა: „ბირმინგემმა" ვერ მოუგო „ვულვზს", რომელიც ნელნელა ამოდის გასავარდნთა მორევიდან. ამ მიდლენური დერბისას წაკინკლავება მოუხდა ლიგის ორ ყველაზე ავ ბიჭს, მგელ პოლ ინსსა და უელსელ რობი სევიჯს. ინსმა საშინლად მოცელა რობი, იმან კი მუშტით წაიწია. ბარათები არ ყოფილა, საქმე ისე მოგვარდა, კაი ძველი ბიჭები რომ აგვარებენ ხოლმე, ანუ ორივემ გაიცინა. კვირას მორევიდან თითქოს ამოყვინთა „ლესტერმა", რომელმაც ყველასთვის მოულოდნელად სტუმრად, სამი უპასუხო გოლით დაამამათა „სიტი". ამასობაში კი კვლავ აღმა ატრიალდა „ასტონ ვილას" საქმე, რომელმაც ასევე შინ წააგო „მიდლსბროსთან". მენეჯერ დევიდ ოლირის გუნდის გადარჩენისთვის ბრძოლა უწევს, რაც სულაც არ არის ჩვეული მდგომარეობა მისნაირი მწვრთნელისთვის. მთლად შავ დღეში და ბოლო ადგილზეა მისგან აგრე კოხტად ნაშენები „ლიდსი", რომელმაც კვლავ წააგო და კვლავ საშინლად, ამჯერად „პორტსმუთში". ექვსი გაშვებული გოლი და ერთადერთი საპასუხო ერთგული ალან სმიტისა, ტრანსფერზე დაყენებული მარკ ვიდუკა, რომელმაც ბოლო გოლი აგვისტოში გაიტანა მეტოქის კარში და რომელმაც ხუთშაბათს, ვარჯიშისას ასე უთხრა თანაგუნდელებს, ვისაც გინდათ დარჩით ამ მარცხიან მწვრთნელთან, მაგრამ უარესი დაგემართებათო, თუმც ლიდსელებს პიტერ რიდთან მუშაობა აღარ მოუწევთ — უიღბლო მწვრთნელი გუშინ გუნდიდან დაითხოვეს. თუმცა პორტსმუთელთა თავკაცმა, ჰარი რედნაპმა მას მაინც უწოდა ლიგის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ხასიათი. რას იზამ? სამაგიეროდ, კარგ ხასიათზე იყო სხვა მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონმა ახალ სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და წელიწადში ოთხ მილიონ გირვანქას მიიღებს ხელფასად.

**ირაკლი გამყრელიძე**
**ლონდონიდან**

## პირველი დივიზიონი
### XVIII ტური

**ბრედფორდი 1:1 უოლსოლი**
1:0 ბრენჩი (5), 1:1 ვრაკი (35)

**კარდიფი 3:1 სტოკი**
1:0 ერნშოუ (24), 1:1 კომონსი (59), 2:1 ერნშოუ (71), 3:1 გაბიდონი (81)

**კრ. პალასი 1:1 პრისტონი**
0:1 პილი (51), 1:1 ჯონსონი (84)

**დერბი ქაუნთი 2:2 იფსვიჩი**
1:0 კენედი (45), 2:0 დიჩიო (45), 2:1 მილერი (56პ), 2:2 დ. ბენტი (65)

**ჯილინგემი 2:0 ქრიუ**
1:0 შოუ (64), 2:0 შპილერი (70)

**ნორვიჩი 3:1 მილუოლი**
1:0 მაკვეიგი (12), 2:0, 3:0 ჰენდერსონი (15, 30), 3:1 უორდი (90)

**ნოტინგემი 1:1 უოტფორდი**
1:0 ბოპი (54), 1:1 კუკი (84)

**რიდინგი 1:0 უიგანი**
1:0 პიუზი (69)

**როტერჰემი 3:1 უიმბლდონი**
1:0 ბატლერი (34), 2:0 სვეილზი (38), 3:0 მაკინტოში (54), 3:1 ნოულენდი (68)

**შეფილდ იუნ. 1:0 ბარნლი**
1:0 ტონგი (45)

**სანდერლენდი 0:0 ქოვენთრი**

**ვესტ ჰემი 3:4 ვესტ ბრომვიჩი**
1:0 დეფო (1), 2:0, 3:0 დინი (10, 18), 3:1, 3:2 ჰალსი (25, 40), 3:3 დინი (66ს.კ.), 3:4 ჰიუზი (77ს.კ.)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვესტ ბრომვიჩი | 17 | 11 | 2 | 4 | 27:16 | 35 |
| შეფილდი | 18 | 10 | 4 | 4 | 29:18 | 34 |
| ნორვიჩი | 17 | 10 | 4 | 3 | 27:17 | 34 |
| უიგანი | 18 | 9 | 6 | 3 | 26:14 | 33 |
| სანდერლენდი | 18 | 9 | 5 | 4 | 22:12 | 32 |
| ვესტ ჰემი | 17 | 7 | 7 | 3 | 22:15 | 28 |
| იფსვიჩი | 18 | 8 | 4 | 6 | 34:28 | 28 |
| კარდიფი | 17 | 7 | 6 | 4 | 30:17 | 27 |
| პრესტონი | 18 | 8 | 3 | 7 | 26:21 | 27 |
| რედინგი | 17 | 8 | 3 | 6 | 24:19 | 27 |
| მილუოლი | 18 | 7 | 6 | 5 | 22:19 | 27 |
| ნოტინგემი | 18 | 7 | 4 | 7 | 30:24 | 25 |
| ქრიუ | 18 | 7 | 3 | 8 | 18:23 | 24 |
| უოლსოლი | 18 | 6 | 5 | 7 | 23:21 | 23 |
| ქოვენთრი | 17 | 5 | 7 | 5 | 22:22 | 22 |
| ჯილინგემი | 18 | 6 | 4 | 8 | 21:29 | 22 |
| უოტფორდი | 18 | 5 | 5 | 8 | 19:23 | 20 |
| ბარნლი | 17 | 5 | 5 | 7 | 24:30 | 20 |
| სტოკი | 17 | 4 | 5 | 8 | 20:25 | 17 |
| კრ. პალასი | 17 | 4 | 5 | 8 | 21:30 | 17 |
| როტერჰემი | 18 | 3 | 7 | 8 | 13:27 | 16 |
| დერბი | 18 | 3 | 6 | 9 | 18:33 | 15 |
| ბრედფორდი | 18 | 3 | 5 | 10 | 16:28 | 14 |
| უიმბლდონი | 17 | 3 | 1 | 13 | 18:41 | 10 |

## ასოციაციის თასის I ეტაპი

აკრინგტონი — ჰადერსფილდი 1:0; პარკ ავენიუ — ბრისტოლი 2:5; პორნჩურჩი — დარლინგტონი 2:0; ნოტსი — შილდონი 7:2; შეფილდ უენსდი — სალისბერი 4:0; საუთენდი — ქონვი 1:1; იორკი — ბარნსლი 1:2; ბარნეტი — სტალიბრიჯი 2:2; ბლეკპული — ბორჰემ ვუდი 4:0; ბორნმუთი — როვერსი 1:0; ბრენტფორდი — გეინსბორო 7:1; ბერი — როჩდეილი 1:2; ჩელტენემი — ჰალი 3:1; ჩესტერი — გრეივსენდი 0:1; კოლჩესტერი — ოქსფორდი 1:0; ფარნბორო — უესტონი 0:1; გრენტემი — ლეიტონი 1:2; გრეისი — ალდერშოტი 1:2; გრიმსბი — ქუინზ პარკი 1:0; ჰარტლპული — უიტბი 4:0; კიდერმინსტერი — ნორსვიჩი 2:1; ლანკასტერი — კემბრიჯი 1:2; ლინკოლნი — ბრაიტონი 3:1; მაკლსფილდი — ბოსტონი 3:0; მენსფილდი — ბიშოპი 6:0; ნორთჰემპტონი — პლიმუთი 3:2; ოლდემი — კარლაილი 3:0; პიტერბრო — ჰერეფორდი 2:0; პორტ ვეილი — ფორდი 2:2; სკარბორო — დონკასტერი 1:0; სკანთორპი — შრიუსბერი 2:1; სტივენეიჯი — სტოკპორტი 2:1; სუონსი — რაშდენი 3:0; ტელფორდი — ქროული 3:2; ტორკი — ბარტონი 1:2; უოქინგი — ჰისტონი 3:1; ტრანმერი — ჩესტერფილდი 3:2; უიკომბი — სუინდონი 4:1; იოვილი — რექსემი 4:1; ტიუროკი — ლუტონი 1:1

# პრსომ კუნძულზეც დადო

## I დივიზიონი XIII ტური

**მარსელი 1:4 ლიონი**
0:1 ელბერი (18), 1:1 ვან ბუიტენი (20), 1:2, 1:3 ლუინდულა (33, 58), 1:4 ჟუნინიო პერნამბუკანო (90)

**აიაჩო 0:1 მონაკო**
0:1 პრსო (82)

**ოსერი 3:0 გინგამი**
1:0 ჯ. სისე (33), 2:0 ტაინიო (37), 3:0 ჯ. სისე (84)

**ლანსი 3:2 მონპელიე**
0:1 კაროტი (9), 0:2 რუვიე (13), 1:2 უტაკა (32), 2:2 მორეირა (51), 3:2 ბაკარი (54)

**სოშო 3:1 ტულუზი**
1:0 ფრო (9), 2:0 სანტოსი (64), 2:1 ბრაიზატი (67), 3:1 პედრეტი (90)

**სტრასბური 1:1 ბორდო**
0:1 ჩამახი (45), 1:1 კ. მარტინსი (82პ)

**ნიცა 2:0 ბასტია**
1:0, 2:0 მესლინი (32, 65)

**ნანტი 0:1 პსჟ**
0:1 ფიორეზე (63)

**ლე მანი 2:0 მეცი**
1:0 პეირლედი (34), 2:0 კუზინი (80)

**რენი 2:2 ლილი**
0:1 მანჩევი (33), 1:1 ა. ფრეი (54), 2:1 ნგემა (62), 2:2 მანჩევი (72)

„ლე მანის" გულშემატკივრებს ალბათ ველარავინ დაარწმუნებს, რომ რიცხვი 13 თარსია. ჩრდილოდასავლეთ საფრანგეთის პატარა ქალაქის გუნდი უმაღლეს დივიზიონში ამ სეზონში გადაბრძანდა. ჩემპიონატის დაწყებიდან ლემანელებს მოგება ენატრებოდათ და პირველ გამარჯვებას მე-13 ტურში მიაღწიეს.

ზეიმსმოწყურებულმა მასპინძლებმა ერთი კვირის წინ მონაკოშიც კარგად ითამაშეს და სამთავროში მარცხის (2:4) მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ რეპეტიცია იქ გაიარეს.

„ლე მანმა" ლაღად იბურთავა და სამი ქულაც ალაღად მიითვალა. ლორენ პეირლედმა ფაბრის პანკრატეს ჩაწოდებულს უზადო თავური მიაყოლა და ანგარიში გახსნა, დანიელ კუზინმა კი მეორე ტაიმში იხეირა. კუზინს დუბლის შესრულება შეეძლო, მაგრამ „მეცის" მეკარე კოსი აგასამ დარტყმული აუღო.

„მარსელმა" ორ ფრონტზე ბრძოლას ვერ გაუძლო. ჩემპიონთა ლიგამ და შინაომებმა სამხრეთელები გადაღალეს. ალენ პერენის გუნდმა უშუალო მეტოქესთან „ველოდრომზე" პირწმინდად წააგო.

ჯოვანი ელბერის გოლს დანიელ ვან ბუიტენმა მალე უპასუხა, მაგრამ მასპინძლების მაქსიმუმი ეს იყო. პირველივე ტაიმში პეგი ლუინდულას თავურით სტუმრები დაწინაურდნენ. ყმაწვილმა ფრანგმა „მარსელი" შესვენების შემდეგ მეორედ დაამწუხრა, ჟუნინიომ კი ბოლო წუთზე გაათოხა.

კორსიკაზე ჩასულ „მონაკოს" „აიაჩო" გამკაცრებული დაცვით დაუხვდა, რადგან „დეპორტივო" კუნძულზე კარგად ახსოვდათ. დამხვდურთა ტაქტიკამ გაამართლა და მთელი მატჩის განმავლობაში ისინი მეტოქეს გამართულად უმკლავდებოდნენ. მხოლოდ ერთხელ, შეხვედრის მიწურულს შეცდნენ და მადაზე მოსულმა დადო პრსომ არ აპატია.

„ნანტი" კვლავ მთავარმეკარე მიკაელ ლანდროს გარეშე თამაშობს. მისმა შემცვლელმა ვილი გრონდინიმ მატჩში ერთ გოლზე მეტი არ გაუშვა, მაგრამ პსჟ-ს გამარჯვებისთვის ეს საკმარისი აღმოჩნდა. პარიზელთაგან ფაბრის ფიორეზემ იყოჩაღა, რომელსაც ტრავმის გამო რამდენიმე ტური გაუცდა და მოშუშებულმა დაბრუნებისთანავე იხეირა.

მეორე ტაიმის მიწურულს „ნანტი" გააფთრებით უტევდა, თუმცა სტუმართა მეკარე ჟერომ ალონზომ დედაქალაქელები სულ ცოტა, ოთხჯერ იხსნა.



მარსელი — ლიონი. სტუმართა მეკარე გრეგორი კუპეს მიდამ და მარსელელებმა ვერაფერი მოუხერხეს

„რენმა" ლილელთა ბულგარელი ფორვარდი ვლადიმირ მანჩევი ვერაფრით შეაჩერა. მანჩევმა სტუმრები პირველ ტაიმში დააწინაურა. შესვენების შემდეგ მასპინძელთა თავდამსხმელმა ფრედერიკ პიკიონმა საკუთარ ქომაგებზე მუშტით გაიწია, რადგან მათგან შეურაცხყოფა იუკადრისა. მსაჯმა იგი უმსგავსო საქციელისთვის მოედნიდან მიაბრძანა.

კაცნაკლულმა „რენმა" ალექსანდრ ფრეის წყალობით ჯერ გაქვითა, მერე კი სტეფან ნგემას თავურით იგებდა.

ამის შემდეგ მინდორზე ჩხუბი, ამჯერად მეტოქე ფეხბურთელთან, სირილ ჟენეშამმა ატეხა და სასტვენიანმა ბრუნო რუფრეიმ ისიც პიკიონის გზას გაუყენა.

ცხრაკაცა დამხვდურები „ლილის" შეტევებისგან მოიშალნენ და მანჩევმა უმალ გაათანაბრა. ბულგარელს მატჩის მიწურულს მესამის გატანაც შეეძლო, მაგრამ ბოლო წამს „რენის" ნაქებმა მეკარე პეტერ ჩეხმა იყოჩაღა.

უეფას თასზე „გაზინთეფთან" შერცხვენილმა „ლანსმა" ბოლო ხანს მოლონიერებულ „მონპელიეს" სძლია, მიუხედავად იმისა, რომ უკვე მეცამეტე წუთისთვის ორბურთიანი სხვაობით მარცხდებოდა.

მასპინძლებმა ჯონ უტაკას გოლით შესვენებამდე ერთი გაქვითეს, მეორე ნახევარში კი ორწუთიან აფეთქებას მორეირას და ბაკარის გოლები მოჰყვა და ლანსელები მეხუთე ადგილზე გამოიჭიმნენ.

**გაგა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 13 | 9 | 3 | 1 | 25:12 | 30 |
| ლიონი | 13 | 8 | 3 | 2 | 27:9 | 27 |
| მარსელი | 13 | 8 | 0 | 5 | 20:14 | 24 |
| პსჟ | 13 | 7 | 2 | 4 | 17:11 | 23 |
| ლანსი | 13 | 7 | 1 | 5 | 12:17 | 22 |
| სოშო | 13 | 6 | 3 | 4 | 17:13 | 21 |
| ოსერი | 13 | 6 | 2 | 5 | 21:13 | 20 |
| ნიცა | 13 | 5 | 5 | 3 | 12:12 | 20 |
| სტრასბური | 13 | 5 | 4 | 4 | 18:15 | 19 |
| ნანტი | 13 | 6 | 1 | 6 | 13:12 | 19 |
| მონპელიე | 13 | 5 | 3 | 5 | 19:17 | 18 |
| ბასტია | 13 | 5 | 3 | 5 | 16:18 | 18 |
| ბორდო | 13 | 4 | 4 | 5 | 10:11 | 16 |
| რენი | 13 | 3 | 6 | 4 | 11:11 | 15 |
| მეცი | 13 | 4 | 2 | 7 | 11:13 | 14 |
| ლილი | 13 | 3 | 5 | 5 | 13:17 | 14 |
| აიაჩო | 13 | 3 | 4 | 6 | 11:16 | 13 |
| გენგამი | 13 | 3 | 2 | 8 | 11:21 | 11 |
| ტულუზი | 13 | 2 | 3 | 8 | 8:22 | 9 |
| ლე მანი | 13 | 1 | 4 | 8 | 7:25 | 7 |

## II დივიზიონი. XV ტური

| 23.45 | 041 | აკრინგტონი-ჰერეფორდი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |
| 23.45 | 042 | ალდერშოტი-ექსეტერი | 2,05 | 3,3 | 3,1 | 1,26 | 1,23 | 1,59 |
| 23.45 | 043 | ბარნეტი-გრეივსენდი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |
| 23.45 | 044 | დაგ ენდ რედი-ფარნბორო | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |
| 23.45 | 045 | ჰალიფაქსი-ტელფორდი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 23.45 | 046 | ლეი-სკარბორო | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 23.45 | 047 | მარგეიტი-უოკინგი | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| 23.45 | 048 | მორიკომბი-ჩესტერი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 23.45 | 049 | შრუსბერი-ფორესტ გრინი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |
| 23.45 | 050 | ტემუორთი-სტივენეიჯი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა. IX ტური** | | | | | | |
| | | **12 ნოემბერი** | | | | | | |
| 01.15 | 165 | მარიტიმუ-ბენფიკა | 3,1 | 3,3 | 2,15 | 1,59 | 1,26 | 1,3 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი. XV ტური** | | | | | | |
| | | **14 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 166 | ვენლო-იგლსი | 1,9 | 3,5 | 3,2 | 1,23 | 1,19 | 1,67 |
| 23.00 | 167 | კამბური-მაასტრიხტი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 23.00 | 168 | ემენი-დორდრეხტი | 1,4 | 4,0 | 6,5 | 1,03 | 1,15 | 2,47 |
| 23.00 | 169 | ოსი-სპარტა | 2,7 | 3,5 | 2,25 | 1,52 | 1,22 | 1,36 |
| 23.00 | 170 | ეინდჰოვენი-გრააფსხაპი | 3,3 | 3,4 | 1,9 | 1,67 | 1,2 | 1,21 |
| 23.00 | 171 | ჰერაკლესი-ჰაარლემი | 1,4 | 4,0 | 6,5 | 1,03 | 1,15 | 2,47 |
| 23.00 | 172 | ტელსტარი-სიტარდი | 1,55 | 3,6 | 5,0 | 1,08 | 1,18 | 2,09 |
| 23.00 | 173 | აპელდორნი-ჰელმონდი | 3,3 | 3,5 | 1,85 | 1,69 | 1,18 | 1,21 |
| 23.00 | 174 | ექსელსიორი-დენ ბოსხი | 2,05 | 3,4 | 3,0 | 1,27 | 1,21 | 1,59 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | |
| | | **12 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 179 | სიონი-ლუცერნი | 2,35 | 3,2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1,43 |
| | | **ირლანდია. პრემიერლიგა. XXXIII ტური** | | | | | | |
| | | **11 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 193 | უოტერფორდი-კორკი | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,36 | 1,25 | 1,36 |
| 23.45 | 194 | შემროკი-ლონგფორდი | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,26 | 1,25 | 1,57 |
| 23.45 | 195 | დერი-ბოჰემიანი | 4,4 | 3,3 | 1,7 | 1,88 | 1,22 | 1,12 |
| 24.00 | 196 | დროგედა-სტ.პატრიკსი | 2,25 | 3,0 | 3,0 | 1,28 | 1,28 | 1,5 |
| | | **ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა. XVI ტური** | | | | | | |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 16.30 | 206 | ჟიჟკოვი-სლავია | 3,5 | 3,2 | 1,9 | 1,67 | 1,23 | 1,19 |
| 20.15 | 207 | პლზენი-სიგმა (sic: სინოტი) | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,55 |
| | | **სლოვაკეთი. I ლიგა. XVI ტური** | | | | | | |
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 16.30 | 209 | ბ.ბისტრიცა-ტრენჩინი | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 16.30 | 210 | დუბნიცა-რუჟომბეროკი | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,21 | 1,25 | 1,62 |
| 21.00 | 211 | ჟილინა-პუხოვი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 13.30 | 213 | პეტრჟალკა-ინტერი | 2,05 | 3,1 | 3,3 | 1,23 | 1,26 | 1,59 |
| 20.30 | 212 | სლოვანი-ტრნავა | 1,9 | 3,1 | 3,6 | 1,17 | 1,24 | 1,66 |
| | | **პოლონეთი. I ლიგა. IX ტური** | | | | | | |
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 21.30 | 216 | პოლონია-სვიტი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |
| | | **რუსეთი. თასი. 1/16 ფინალი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **11 ნოემბერი** | | | | | | |
| 15.00 | 267 | ტომსკი-ტორპედო | 2,5 | 2,9 | 2,5 | 1,34 | 1,25 | 1,34 |
| | | **მჩ. შესარჩევი მატჩები.** | | | | | | |
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 280 | ურუგვაი-ჩილე | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 01.00 | 281 | კოლუმბია-ვენესუელა | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 02.20 | 282 | პარაგვაი-ეკვადორი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 04.40 | 283 | არგენტინა-ბოლივია | 1,1 | 7,0 | 16,0 | 1 | 1,02 | 4,86 |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 01.00 | 284 | პერუ-ბრაზილია | 4,4 | 3,3 | 1,75 | 1,88 | 1,25 | 1,14 |
| | | **ეჩ. ფლეი ოფი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 288 | შოტლანდია-ჰოლანდია | 4,0 | 3,2 | 1,85 | 1,77 | 1,26 | 1,17 |
| 20.00 | 289 | რუსეთი-უელსი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 20.30 | 290 | ხორვატია-სლოვენია | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 22.15 | 291 | ლატვია-თურქეთი | 4,2 | 3,2 | 1,8 | 1,81 | 1,26 | 1,15 |
| 01.00 | 292 | ესპანეთი-ნორვეგია | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | | **ეჩ. ფლეი ოფი. ფინალურ ეტაპზე გასვლა** | | | | | | |
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 6001 | შოტლანდია-ჰოლანდია | 4,0 | 1,15 | | | | |
| 20.00 | 6002 | რუსეთი-უელსი | 1,4 | 2,4 | | | | |
| 20.30 | 6003 | ხორვატია-სლოვენია | 1,4 | 2,4 | | | | |
| 22.15 | 6004 | ლატვია-თურქეთი | 5,0 | 1,1 | | | | |
| 01.00 | 6005 | ესპანეთი-ნორვეგია | 1,15 | 4,0 | | | | |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **11 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 307 | ეგვიპტე-შვედეთი | 2,9 | 3,0 | 2,3 | 1,47 | 1,28 | 1,3 |
| | | **12 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 308 | პოლონეთი-იტალია | 3,5 | 3,0 | 2,05 | 1,61 | 1,29 | 1,21 |
| | | **სამხრეთ ამერიკის თასი. 1/4 ფინალი. II მატჩები** | | | | | | |
| | | **12 ნოემბერი** | | | | | | |
| 03.50 | 318 | სან პაულუ-სტრონგესტი | 1,2 | 5,3 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,33 |
| | | **სამხრეთ ამერიკის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 04.10 | 319 | ატლ.ნასიონალი-სენსიანო | 1,4 | 4,0 | 6,5 | 1,03 | 1,15 | 2,47 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი.** | | | | | | |
| | | **12 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.30 | 1001 | სევერსტალი-ლოკომოტივი | 2,6 | 4,8 | 1,8 | 1,68 | 1,06 | 1,3 |
| 19.30 | 1002 | ასკ-ტორპედო | 1,35 | 5,6 | 4,6 | 1,08 | 1,04 | 2,52 |
| 19.30 | 1003 | ცსკა-ლადა | 1,95 | 4,8 | 2,4 | 1,38 | 1,07 | 1,6 |
| 13.00 | 1004 | ამური-ს.იულაევი | 2,0 | 4,6 | 2,4 | 1,39 | 1,09 | 1,57 |
| 16.30 | 1005 | ავანგარდი-დინამო | 1,85 | 4,8 | 2,5 | 1,33 | 1,06 | 1,64 |
| 19.30 | 1006 | ხიმიკი-მაგნიტოგორსკი | 4,0 | 5,3 | 1,45 | 2,27 | 1,06 | 1,13 |
| 19.30 | 1007 | აკ ბარსი-ნოვოკუზნეცკი | 1,2 | 7,0 | 6,5 | 1,02 | 1,01 | 3,37 |
| 19.30 | 1008 | ნეფტეხიმიკი-სიბირი | 1,35 | 5,6 | 4,6 | 1,08 | 1,04 | 2,52 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი.** | | | | | | |
| | | **11 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 1026 | ვსეტინი-პარდუბიცე | 2,9 | 4,2 | 1,8 | 1,71 | 1,11 | 1,26 |
| 20.00 | 1027 | ტრჟინეცი-ლიტვინოვი | 1,45 | 4,6 | 4,4 | 1,1 | 1,09 | 2,24 |
| 20.30 | 1028 | კარლოვი ვარი-სლავია | 2,4 | 4,2 | 2,1 | 1,52 | 1,12 | 1,4 |
| 20.30 | 1029 | ზნოიმო-ზლინი | 1,95 | 4,2 | 2,6 | 1,33 | 1,11 | 1,6 |
| 20.30 | 1030 | პლზენი-ვიტკოვიცე | 1,9 | 4,2 | 2,7 | 1,3 | 1,11 | 1,64 |
| 20.30 | 1031 | კლადნო-ბუდეიოვიცე | 1,85 | 4,2 | 2,8 | 1,28 | 1,11 | 1,68 |
| 21.30 | 1032 | სპარტა-ლიბერეცი | 1,35 | 4,8 | 5,3 | 1,05 | 1,07 | 2,51 |
| | | **ჰოკეი. სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **11 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 1050 | ტრენჩინი-ნიტრა | 1,15 | 6,5 | 9,0 | 1 | 1,01 | 3,77 |
| 20.00 | 1051 | მიხალოვცე-პოპრადი | 1,9 | 4,0 | 2,8 | 1,28 | 1,13 | 1,64 |
| 20.00 | 1052 | სკალიცა-ზვოლენი | 2,45 | 4,0 | 2,1 | 1,51 | 1,13 | 1,37 |
| 20.00 | 1053 | სლოვანი-ჟილინა | 1,45 | 4,2 | 4,8 | 1,07 | 1,11 | 2,24 |
| 20.00 | 1054 | კოშიცე-მარტინი | 1,25 | 5,3 | 7,0 | 1,01 | 1,06 | 3,01 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 1068 | აისბარენი-მანჰაიმი | 1,65 | 4,8 | 3,2 | 1,22 | 1,08 | 1,92 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **11 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 1100 | ლულეო-მოდო | 2,0 | 4,2 | 2,5 | 1,35 | 1,11 | 1,56 |
| 22.00 | 1101 | მალმიო-ჰვ 71 | 2,4 | 4,2 | 2,1 | 1,52 | 1,12 | 1,4 |
| 22.00 | 1102 | ფრიოლუნდა-ბრიუნესი | 1,3 | 5,6 | 5,3 | 1,05 | 1,04 | 2,72 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **11 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 1118 | ჰელსინკი-ილვესი | 1,7 | 4,6 | 3,1 | 1,24 | 1,09 | 1,85 |
| 20.30 | 1119 | ჰამეენლინა-ლუკო | 1,7 | 4,6 | 3,1 | 1,24 | 1,09 | 1,85 |
| 20.30 | 1120 | ტაპარა-კერპეტი | 1,9 | 4,4 | 2,6 | 1,32 | 1,09 | 1,63 |
| 20.30 | 1121 | ტურკუ-ესპოო | 1,65 | 4,8 | 3,2 | 1,22 | 1,08 | 1,92 |
| | | **ჰოკეი. NHL** | | | | | | |
| | | **11 ნოემბერი** | | | | | | |
| 04.00 | 1136 | ბოსტონი-ედმონტონი | 2,0 | 3,5 | 2,9 | 1,27 | 1,18 | 1,58 |
| 04.30 | 1137 | მონრეალი-კოლამბუსი | 1,9 | 3,6 | 3,0 | 1,24 | 1,16 | 1,63 |
| 04.30 | 1138 | ფილადელფია-აილენდერსი | 1,85 | 3,6 | 3,1 | 1,22 | 1,15 | 1,66 |
| 04.30 | 1139 | ფლორიდა-ტამპა ბეი | 2,4 | 3,5 | 2,3 | 1,42 | 1,17 | 1,38 |
| 04.30 | 1140 | ატლანტა-ოტავა | 2,4 | 3,5 | 2,3 | 1,42 | 1,17 | 1,38 |
| 05.00 | 1141 | მინესოტა-ვანკუვერი | 2,5 | 3,5 | 2,2 | 1,45 | 1,17 | 1,35 |
| 07.30 | 1142 | სან ხოსე-კოლორადო | 2,6 | 3,5 | 2,15 | 1,49 | 1,17 | 1,33 |
| | | **კალათბურთი. NBA** | | | | | | |
| | | **11 ნოემბერი** | | | | | | |
| 04.00 | 1281 | ინდიანა-ბოსტონი | 1,35 | 10,0 | 2,6 | 1,18 | 1 | 2,06 |
| 04.00 | 1282 | ვაშინგტონი-ფილადელფია | 1,95 | 10,0 | 1,65 | 1,63 | 1 | 1,41 |
| 05.00 | 1283 | მინესოტა-სიეტლი | 1,3 | 10,0 | 2,8 | 1,15 | 1 | 2,18 |
| 05.30 | 1284 | დალასი-ნიუ ორლეანი | 1,25 | 10,0 | 3,1 | 1,11 | 1 | 2,36 |
| 05.30 | 1285 | ჰიუსტონი-მაიამი | 1,12 | 10,0 | 4,4 | 1 | 1 | 3,05 |
| 07.00 | 1286 | პორტლენდი-ტორონტო | 1,3 | 10,0 | 2,8 | 1,15 | 1 | 2,18 |
| 07.00 | 1287 | საკრამენტო-დეტროიტი | 1,32 | 10,0 | 2,7 | 1,16 | 1 | 2,12 |
| 07.30 | 1288 | კლიპერსი-ატლანტა | 1,55 | 10,0 | 2,1 | 1,34 | 1 | 1,73 |
| | | **რაგბი. მსოფლიოს თასი** | | | | | | |
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 13.00 | 1401 | ახალი ზელანდია-ავსტრალია | 1,25 | 20,0 | 3,5 | 1,17 | 1 | 2,97 |
| | 1402 | ახალი-ზელანდია-ავსტრალია | 0:12 | 1,85 | 10,0 | 1,85 | | |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 13.00 | 1403 | ინგლისი-საფრანგეთი | 1,45 | 20,0 | 2,5 | 1,35 | 1 | 2,22 |
| | 1404 | ინგლისი-საფრანგეთი | 0:6 | 1,85 | 10,0 | 1,85 | | |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# RUGBY WORLD CUP 2003

## მეოთხედფინალი

# ქურციკები შამფურზე

**8 ნოემბერი. მელბურნი**

**ახ. ზელანდია 29:9 ს. აფრიკა**

**ახალი ზელანდია:** მულიაინა, ჰაუელტი, მაკდონალდი, მეიჯორი (კარტერი), როკოკოკო (რალფი), სპენსერი, მარშალი (დივაინი); კოლინზი, მაკქოუ (ჰოლანი), რ. სორნი (კაპ), უილიამსი, ჯეკი (ბ. სორნი), სამერვილი, ვილამუ (ჰემეტი), ჰიუიტი (მიუსი)
3ლ: მაკდონალდი, მილამუ, როკოკოკო; 1გ: მაკდონალდი; 3ს: მაკდონალდი; 1ა: მეიჯერი

**სამხრეთ აფრიკა:** იაკო ფან დერ ვესტჰოიზენი, ვილემსე, მიულერი, ბერი, დელპორტი (ფური), ჰუგაარდი (კუნი), იუსტ ფან დერ ვესტჰოიზენი (დე კოკი); იუან სმიტი, როსოუ (ბურგერი), კრიზე (კაპ), მეტფილდი (ბუში), ბოთა, რაუტენბახი (ბენდსი), ჯონ სმიტი (კუცი), ბეზუდენუ
3ს: ჰუგაარდი

იშვიათად მომხდარა, რომ ასეთ დონეზე შეხვედრილ გუნდებს ასეთი განსხვავებული დონის თამაში ეჩვენებინოთ. ახალზელანდიელთა მიზანსწრაფვის, მობილიზებულობისა და გაუნელებელი ჟინის წილ „ქურციკებმა" ვერ მოიძიეს ვერაფერი, რაც მათ სანახევარფინალო პრეტენზიებს ოდნავ მაინც გაამართლებდა.

„კივებს" სულ მცირე 50 ქულით მაინც უნდა მოეგოთო — წერს პრესა რაგბის მცოდნე ქვეყნებში — დაახლოებით ისე, როგორც მათ ამ რამდენიმე თვის წინ პრეტორიაში იმარჯვესო.

მაგრამ სპეციალისტები იმასაც ფიქრობენ, რომ „კივებმაც" ვერ ითამაშეს იმ უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად, რასაც მათგან მოელოდნენ. თუმცა უჯიგროდ, გაუთლელად და არაორგანიზებული დაცვით მორაგბე მეტოქის გასავლელად მათ იმ დღეს საკმარისზე მეტიც გააკეთეს და მთავარიც სწორედ ეგ არის.

„ოლ ბლექსი" პირველი წუთებიდანვე დომინირებდა — საწყისი 15-წუთეულის განმავლობაში დროის 80 პროცენტი ბურთს სწორედ „შავები" ფლობდნენ, 70 პროცენტისას კი თამაში „ქურციკთა" ნახევარზე მიდიოდა. პირველ ტაიმში ეს მაჩვენებელი 70 პროცენტს მხოლოდ ერთი-ორჯერ ჩასცილდა და ისიც უმნიშვნელოდ.

ვითარება ოდნავ შეიცვალა მეორეში, მაგრამ მაშინაც კი, როცა „ქურციკები" ბურთს მოიხელთებდნენ, აშკარა ხდებოდა მათი ტაქტიკური მარაგის სიმწირე. საბოლოო ჯამში, შეტევა ისევ მეტოქეს უბრუნდებოდა.

„კივითა" იერიშები კი მართლაც ამოდ საცქერი იყო — ფორვარდები ჯიქურ, ჯგუფურად და მხარდამხარ თარეშობდნენ, შერკინებასა და დერეფნებსაც კაცურად იგებდნენ. მოფარფატე უკანა ხაზს კი ბრწყინვალედ უძღვებოდნენ ნახევარმცველები ჯასტინ მარშალი და კარლოს სპენსერი.

„ქურციკთა" მყიფე და მოუწესრიგებელი დაცვა უმთავრეს ყურადღებას მეტოქის გარემარბთა ალაგმვას უთმობდა, მაგრამ სანაცვლოდ კიდევ უფრო სახიფათო ხდებოდა „კივთა" შუამარბობა. 10, 12 და 13 პოზიციებზე „ქურციკებმა" იმდენი შებოჭვა გაფლანგეს, რამდენსაც მრავალი ნაკრები მთელი სეზონის განმავლობაში აგროვებსო, ქირდავს ერთი დასავლელი მწერალი.



REUTERS

კარლოს სპენსერის ზღაპრული პასის შემდეგ ახალზელანდიელ ჯო როკოკოკოს კანფეტივით ლელო გააქვს

ყველაფერი კი დამთრგუნველი ბოლო მონაკვეთით დასრულდა, რომლის დროსაც კარლოს სპენსერის საცირკო ჯადოპასებმა საბოლოო, შეურაცხმყოფელი განაჩენი გამოუტანა ტრადიციულ მოსისხლეს, ვინაც გიგანტებიდან პირველი ტოვებს თასს და სამართლიანადაც.

**ლევან ძელაურაძე**

---

**9 ნოემბერი. მელბურნი**

**საფრანგეთი 43:21 ირლანდია**

**საფრანგეთი:** ბრუსკე, რუჟერი, მარში, ჟოზიონი (ლიბენბერგი), დომინისი, მიშალაკი, გალტიე (კაპ); არინორდოკი (ტობაკო), მანი (ბრუ), ბესენი, ტიონი (ბრუზე, ელორგა), პელუ, მარკონე, იბანესი, კრენკა (მილუ)
4ლ: მანი, დომინისი, არინორდოკი, კრენკა; 4გ: მიშალაკი; 5ს: მიშალაკი

**ირლანდია:** დემპსი, ჰორგანი, ოდრისკოლი, მაგსი, კელი, ოგარა (ჰემფრიზი), სტრინგერი (გ. ისტერბი); კოსტელო (მილერი), გლისონი, ს. ისტერბი, ოკონელი, ოკელი, ჰეიესი, ვუდი (კაპ), კორიგანი (ჰორანი)
3ლ: მაგსი, ოდრისკოლი (2); 3გ: ჰემფრიზი



კიტ ვუდი მსოფლიოს ემშვიდობება

# მამალმა ირლანდია გააგდო და ინგლისი დააფრთხო

ჰაი-ჰაი, რომ მეტ ძალას იძენს ბორჯღალოსანთა თავკაცის მუსიე სორელის მოსაზრება იმის თაობაზედ, რომ ინგლისელების თუმც კი ბარაქიან, მაგრამ მაინც პროგნოზირებად თამაშს ფრანგთა ხატულა და გვირისტიანი ყაიდა აჯობებს.

ყოველ შემთხვევაში, ირლანდიელებთან ამ ყაიდამ ძალუმად გაჭრა. კიდით კიდემდე მოფინტავე და მოკარუსელე ფრანგებს წმინდა პატრიკის იომენებმა იმ დღეს ბევრი ვერაფერი შეაგებეს.

ყველაფერი „მამალთა" ათი ნომრის, ტურნირის უდახვეწილესი მთავარმექულის ფრედერიკ მიშალაკის აბრაგანით დაიწყო. აირიშთა ბოლოკაცამდე ბურთს ფრანგმა ჩამკეტმა არინორდოკიმ მიუსწრო, მყისვე გვერდით ამოჩენილ ოლივიე მანის (7) უპასა და ანგარიშიც გაიხსნა.

ამ უმარტივეს, მაგრამ იმავდროულად ძალზედ ეფექტიან კომბინაციაში მონაწილე ფრანგები პლუს მესამე მესამეხაზელი სერჟ ბესენი (6) ამ მატჩის უდავო გმირები იყვნენ. *. ბესენი, მანი და არინორდოკი მწევრებივით ნადირობდნენ ბურთზე, ცალკერძ ირლანდიელთა შერკინებას ჰარსავდნენ, მეორეკერძ კი რაგინდარა მაქმანების მოსაქსოვად მზადმყოფ უკანახაზს ამარაგებდნენ. სწორედ ბესენმა გააქცუნა მეორე ლელოს დასადებად ტანმორჩილი გარემარბი დომინისი, მესამედ კი ბურთი იმავ ტრიოს აქტიობის შედეგად უკვე არინორდოკიმ დაამიწა.

ირლანდიელთა ყოველი საპირველტაიმო შეტევა „მამლების" საუცხოოდ დარაზმულმა დაცვამ ალკვეთა — გამოჩნდა, რომ მათ არა მხოლოდ შთაგონებით იერიში ხელეწიფებათ.

ქულების დაგროვება ირლანდიელებმა მხოლოდ მაშინ შეძლეს, როცა ფრანგებმა გაზიდან ფეხი აიღეს. ედი ოსალივანმა ოგარას ნაცვლად მოედანზე ვეტერანი დეივიდ ჰემფრიზი შეუშვა და მანაც უმალვე დაატყო თავისი ხელი. უკანასკნელ მონაკვეთში „სამყურებმა" მძაფრ იერიშებში დაჰყვეს და სამ ლელოსაც გამორჩნენ. ამათგან ორი მათმა უჩაუქესმა შუამარბმა ბრაიან ოდრისკოლმა გაიტანა.

მატჩის მსვლელობისას მოსეირეებმა მრავალი საარაკო მომენტი იხილეს, მაგრამ იმ დღეს ყველაზე დასამახსოვრებელი რამ მაინც ირლანდიელთა ამაგდარი კაპიტნის, კიტ ვუდის ცრემლნარევი მატჩისშემდგომი ინტერვიუ იყო. ვუდმა, ვინაც წაგებულ მატჩშიც ცხადყო, რომ დიადი მორაგბეა, კვირას თავისი სანაკრებო კარიერა გაასრულა.

**ლევან ძელაურაძე**

---

# ვაი და ვუ ავსტრალიას

**8 ნოემბერი. სიდნეი**

**ავსტრალია 33:16 შოტლანდია**

**ავსტრალია:** როჯერსი (როფი), სეილორი, მორტლოკი, ფლეტლი, ტუკირი, ლარკემი (ჟიტუ, ვიკერმანი), გრეგანი (კაპ) (ვიტეკერი); ლაიონზი, ვუ, სმიტი (კოკბეინი), შარპი, ჰარისონი, დარვინი (ბაქსტერი), ქენონი (ჰოლი), იანგი
3ლ: მორტლოკი, გრეგანი, ლაიონზი; 3გ: ფლეტლი; 4ს: ფლეტლი

**შოტლანდია:** მეტკალფი (ჰინშელვუდი), დენიელი, თაუნსენდი (მაკლარენი), ჰენდერსონი, ლოგანი, პატერსონი, რედპატი (კაპ); ტეილორი, მასერი, უაიტი (პეტრი), გრაიმსი (მიურეი), ჰინესი, დუგლასი (მაკლივამი), ბალოკი (რასელი), სმიტი
1ლ: რასელი; 1გ: პატერსონი; 2ს: პატერსონი; 1ა: პატერსონი

ძალიან გაიხარეს გაერთიანებული სამეფოს პრინცმა ჰარიმ და ინგლისელთა მწვრთნელ კლაივ ვუდვორდის ცოლმა ჯეინმა. ამათ ერთად უყურებდნენ მატჩს და საფინალო სასტვენის შემდეგ ერთმანეთს წლების უნახავი დედაშვილივით გადაეხვივნენ.

ჯეინის ქმარი კი ახლა იმაზე ფიქრობს, თავის საათივით აწყობილ, მაგრამ უფანტაზიო, მანქანას ცოცხალი ორგანიზმის სული შთაბეროს.

რაღაცის მოფიქრება არც ავსტრალიელებს აწყენდათ. საკმაოდ სუსტი შოტლანდიის დამარცხებას მათ მთელი არსენალი დაახარჯეს. მაგრამ რაგბის სინოპტიკოსები „ვოლაბების" მქირდავებს აფრთხილებს — ავსტრალია არასდროს ბრწყინავს, მაგრამ ყოველთვის მოიძევს შეკრულ და პრაგმატულ გუნდსო.

შაბათის პრაგმატიკოსები ჯორჯ გრეგანი და ფილ ვუ იყვნენ. განსაკუთრებით კი ეს მეორე გამოირჩა, რომელიც მთავარი ყუმბარმტყორცნი აღმოჩნდა „ვოლაბებში". ვუმ ჯერ რაქში წაართვა ბურთი შოტლანდიელებს და მორტლოკი გააქცია სალელოედ, მერე კი დერეფაში დაითრია უპატრონოდ მიტოვებული ბურთი და მსოფლიოს თასზე ჯერჯერობით ყველაზე ეფექტურ 8 ნომერ დევიდ ლაიონზს გაატანინა ლელო. ავსტრალიელთა მოზვერივით გარემარბი ვენდელ სეილორი კი რისთვის იყო მოედანზე, თვითონაც მიავიწყდა. ნერვებმოშლილმა ალბათ იმიტომ, რომ ვერც თავად ითამაშა და ვერც საზოგადოდ მისმა გუნდმა, შოტლანდიელთა მეორეხაზელ სტიუარტ გრაიმსს მუშტები უთავაზა.

**ბაჩო სვანიძე**

---

**9 ნოემბერი. სიდნეი**

**ინგლისი 28:17 უელსი**

**ინგლისი:** რობინსონი, ლუგერი (ქეთი), გრინვუდი (ებოტი), ტინდალი, კოენი, უილკინსონი, დოუსონი (ბრაქენი); დალალიო, ბეკი, მუდი, კეი, ჯონსონი, ვიკერი, ტომპსონი, ლეონარდი (ვუდმენი)
1ლ: გრინვუდი; 1გ: უილკინსონი; 6ს: უილკინსონი; 1ა: უილკინსონი

**უელსი:** გ. ტომასი, მ. ჯონსი, ტეილორი, ჰარისი, შ. უილიამსი, ს. ჯონსი, კუპერი (პილი); ჯ. ტომასი (მ. უილიამსი), შარვისი (კაპ), დ. ჯონსი, სიდოლი, კოკბეინი (ლიველინი), ა. ჯონსი (ჯენკინსი), მაკბრაიდი (მ. დევისი), ი. ტომასი
3ლ: ს. ჯონსი, შარვისი, მ. უილიამსი; 1გ: ჰარისი

უელსელი „წითელი დრაკონები" ინგლისელებისთვის იოლად დასალევ ლუკმად ითვლებოდნენ, უფრო იოლადაც, ვიდრე სხვა ბობოლებს ამ ეტაპზე შეხვედრა სატურნირო ბადემ. თუმცაღა ანგლების ქვეშევრდომები (არასარაგბო) ლამის ყელში გაეჩხირნენ პრინც ჰარის და წითელი ჯვრის ამქარს. ინგლისელები „ჯადო" ჯონი უილკინსონის უნდა უმადლოდნენ, „მეამბოხე პროვინცია" ვაი-ვაგლახით რომ მოიგერიეს.

კლოდ სორელი ამბობდა, ინგლისელთა ზემძლავრი შეტევებისგან ღმერთმა ყველა დაიფაროს,

# ვარდს ჩამოახმა ეკალი

მაგრამ იქვე ურთავდა, ბრიტანელები იოლად გასაშიფრები არიან და თუნდაც ფრანგებს შეუძლიათ „ოცნების გუნდის" დამარცხებაო.

ასე თუ ისე, რაც უფრო მეტს თამაშობს, ინგლისი სულ უფრო შიშვლდება. უელსელებმა „ვარდების" კიდევ უფრო მოუცვითეს ეკლები, მაგრამ ვაგლახ, რომ ჯონი უილკინსონი ინგლისელია და არა უელსელი.

ჯონიმ, ვისთვისაც ეს მეორე მსოფლიოს თასია, გარდასხვა, 6 საჯარიმო და ერთი უმნიშვნელოვანესი და უმშვენიერესი არეკნი უთავაზა მეტოქეს. ინგლისელთა დამრტყმელიმა არეკნი მაშინ გაიტანა, როცა ანგარიში 25:17 იყო მისიანთა სასარგებლოდ და ამით საბოლოოდ გატეხა მეომარი უელსი.

„დრაკონები" კი თავაწეულები ტოვებენ მსოფლიოს თასს. ბოლოს და ბოლოს მათ ლეგენდარული ნილ ჯენკინსის გარეშეც აწვალეს ახალი ზელანდია და ინგლისი. აკი ინგლისელებს სამი ლელო გაუტანეს და მხოლოდ კი ერთი გაუშვეს.

**ბაჩო სვანიძე**



REUTERS

უელსელთა კაპიტან კოლინ შარვისს დედა-ინგლისისთვის მეორე ლელო გააქვს

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ფაჩულიამ მგელზე შიშველი ხელებით გაიწია



ზაზა ფაჩულია მოედანზე თავის ადგილს ეძებს

— 7 ნოემბერი —

**ორლანდო 71:100 მინესოტა**

ორლანდო: ლუ (25), მაკგრეიდი (4), ჰოვარდი (13), გუდენი (14), ჰანტერი (4); უილიამსი (4), ბოგანსი (3), გარიტი (2), გეინესი, ფაჩულია (16 წუთი, 2 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება)

მინესოტა: კასელი (11), სპრიუელი (22), მედსენი (11), გარნეტი (21), ოლოვოკანდი (5); ჰოიბერგი (12), ჰასელი, მაკლოიდი (6), ტრენტი (8), ლუისი (2), ები (2)

**დენვერი 102:104 კლიპერსი**

ძირითადი დრო 88:88

დენვერი: მილერი (13), ლენარდი (10), ენტონი (30), ილარიო (15), კემბი (5); ბოიკინსი (19), ბერი (6), ანდერსენი (2), ვაიტი, ცქიტიშვილი (8 წუთი, 2 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი), ბოუენი

**სიეტლი 100:82 პორტლენდი**

სიეტლი: რ. მიურეი (24), ბერი (20), ლუისი (21), რადმანოვიჩი (19), ბუთი (6); ევანსი (4), რიდნური (2), ჯეიმსი, ფრამი

პორტლენდი: სტუდემაიერი (3), ველსი (13), უოლესი (25), რენდოლფი (19), დევისი (8); მაკინისი (6), ვუდსი (4), ტ. მიურეი (3), სტეფანია (6 წუთი, 1 ქულა, 3 მოხსნა), კეროლი, ბუმტიე-ბუმტიე

**გოლდენ სტეიტი 95:89 იუტა**

**ბოსტონი 87:94 ნიუ ჯერსი**

**ინდიანა 91:90 კლივლენდი**

**ნიუ ორლეანი 114:95 ლეიკერსი**

**ჩიკაგო 85:106 ფილადელფია**

**ფინიქსი 96:88 მემფისი**

**ვაშინგტონი 86:60 ტორონტო**

**ნიუ იორკი 114:111 საკრამენტო**

**დეტროიტი 105:99 მილუოკი**

— 8 ნოემბერი —

**ჰიუსტონი 96:86 ორლანდო**

ჰიუსტონი: ფრენსისი (31), ჯეკსონი (5), მობლი (21), კატო (10), მინგი (16); ნახბარი (6), პადჯეტი (7), ბრაგსი, ნორისი

ორლანდო: ლუ (18), მაკგრეიდი (14), ჰოვარდი (22), გუდენი (8), ჰანტერი (15); ბოგანსი (7), უილიამსი (1), ფაჩულია (7 წუთი, 1 ჩაჭრა), გარიტი, ჰარვი (1)

**პორტლენდი 90:83 ატლანტა**

პორტლენდი: სტუდემაიერი (6), ველსი (4), ვოლესი (11), რენდორფი (29), დევისი (12); მაკინისი (21), სტეფანია (16 წუთი, 2 ქულა, 7 მოხსნა, 1 პასი, 2 დაფარება), ვუდსი, მიურეი (5)

ატლანტა: ტერი (14), გლოვერი (14), ჯეკსონი (16), აბდურ-რაჰიმი (18), რეთლიფი (7); მუჰამედი (4), ვონი, ნეილონი (4), დიავი (6)

**იუტა 96:89 მემფისი**

**ნიუ ორლეანი 106:109 ჩიკაგო**

**მაიამი 79:88 მინესოტა**

**კლივლენდი 111:98 ვაშინგტონი**

**მილუოკი 90:87 ნიუ იორკი**

**სან ანტონიო 78:81 დალასი**

— 9 ნოემბერი —

**ტორონტო 89:76 დენვერი**

ტორონტო: ე. უილიამსი (4), კარტერი (34), კარი (2), ჯ. უილიამსი (8), დევისი (7); პალასიო (14), ბოში (6), მიურეი (6), პეტერსონი (6), მოისო, ბრანსონი, ბატირი (2)

დენვერი: მილერი (18), ბერი (5), ენტონი (19), ილარიო (12), კემბი (2); ბოიკინსი (12), ელსონი (8), ბოუენი, ანდერსენი

*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

**ფილადელფია 74:85 ინდიანა**

**სიეტლი 81:91 ატლანტა**

**ბოსტონი 91:82 საკრამენტო**

**დეტროიტი 98:84 ნიუ ჯერსი**

ამ პარასკევ-უქმეებზე ნბა-ში უამრავი მატჩი გაიმართა, ბევრიც საინტერესო მოხდა „ლოს ანჯელეს ლეიკერსი" სეზონში პირველად დამარცხდა, მისი ნახევარძმა „კლიპერსმა" კი პირველი გამარჯვება დააგემოვნა. თუმცა ჩვენი ყურადღება უფრო იმ გუნდებისადმია მიპყრობილი, სადაც ქართველები თამაშობენ.

„ქართულმა" კლუბებმა მთლიანობაში 6 მატჩი ჩაატარეს, თითოეულმა ორ-ორი. ზოგმა მოიგო, ზოგმაც წააგო, მაგრამ ნბა-ს ქართველობა მთლიანობაში წაგებული დარჩა. მოკლედ, ბოლო დღეებში ჩვენებურები ოკეანგაღმა საკმაოდ შერცხვნენ.

ყველაზე უიღბლო მაინც ნიკა ცქიტიშვილია. „სკიტას" „დენვერმა" ორი ბობოლის წამოქცევის შემდეგ აგერ, ორ ისე რა შემხვედრთან წაიფორხილა, პარასკევს კი სულაც შინ დამარცხდა ამ სეზონში ჯერც გაუხარელ „კლიპერსთან".

მატჩი დრამატული გამოდგა, გამარჯვებული ორვერტაიმში გამოვლინდა. ცქიტიშვილს მხოლოდ 8 წუთი მოუწია თამაშმა და ოთხი სროლიდან ერთი ჩააგდო. მისი თანაგუნდელები კი თავს აკლავდნენ კალიფორნიელებს, მაგრამ კვენტინ რიჩარდსონს ვერაფერი მოუხერხეს და დენვერელებმა „პეპსი სენთერში" პირველი საამსეზონო მარცხი იწვნიეს.

„დენვერმა" კვირასაც წააგო, მაგრამ ტორონტოელებთან ჩაფლავებაში ცქიტიშვილს უბრალო მიზეზის გამო არ მიუძღვის წილი — არ უთამაშია.

ვოვა სტეფანიას წარმატებაში ძნელად ჩაეთვლება 16 წუთში მოხვეჭილი 7 მოხსნა. 216-სანტიმეტრიანი კაცისგან ის უფრო გასაკვირი იქნება, რომ ვერ მოხსნას, ხოლო რაც შეეხება ქულებს, სტეფანიას აგერ, უკვე მერამდენე მატჩია, ბურთის ჩაგდება უჭირს.

შაბათს სტეფანია ისევ ვერ ახერხებდა სასროლ პოზიციაზე დარჩენას და „ატლანტასთან" მოგებულ მატჩშიც სამადლო 2 ქულას დასჯერდა. წინა დღეს კი არათუ სტეფანია, მთელი „პორტლენდი" შერცხვა რაშარდ ლუისის „სიეტლთან". „ბლეიზერსი" მესამე მეოთხედში უკვე 20 ქულას აგებდა და საბოლოოდ ამაზე ოდნავ ნაკლებით დამარცხდა. მორის ჩიკსმა სტეფანია ბოლო 6 წუთი ათამაშა და ქართველმა მხოლოდ ერთი საჯარიმოს ჩაგდება მოახერხა.

საჯარიმოების ამარა დარჩა ორლანდოელი ზაზა ფაჩულიაც, ვისი „მეჯიქიც" ნაფლეთებად აქციეს მინესოტადან ფლორიდაში ჩაძუნძულებულმა „მგლებმა". ფაჩულია პირველად პირველ ტაიმში გამოჩნდა მოედანზე და უხეირო თამაშის შემდეგ კვლავ სათადარიგოებს შეუერთდა. ზაზა მეორედ უფრო დიდ გულზე შევიდა მოედანზე და ნორმალურად ხომ ითამაშა, გაწევ-გამოწევაც წამოიწყო.

თავად ფაჩულია არაფერ შუაშია, იგი თანაგუნდელ შემონდ უილიამსს გამოესარჩლა და მინესოტელ ერვინ ჯონსონს რომ არ შეეკავებინა, ვინძლო ცუდ დღეში ჩაეგდო „მგების" ჩია (ფაჩულიასთან შედარებით) უკანახაზელი კიტ მაკლოიდი... ამ მატჩში მოხვეჭილ ორ ქულაზე ძვირად ჩვენ და თავად ფაჩულიასაც ეგებ ის გვიღირდეს, „ორლანდოს" სამწამიანში შეჭრილ მრისხანე კევინ გარნეტს ჩვენებური ფეხდაფეხ რომ მიჰყვა და ერთობ ოსტატურად აჰკიდა შეტევაში ჯარიმა ამ „მოუთვინიერებელ მგელს".

**ირაკლი ბერტაია**

## საქართველოს ჩემპიონატი

8 ნოემბერი. რუსთავი

**რუსთავი 96:83 მაკაბი**

22:21, 19:24, 29:19, 26:19

რუსთავი: აბრამიძე (6), არწივიძე (18), გოგიბერიშვილი (34), ტყეშელაშვილი (2), ჯაფარიძე (12); ბერუაშვილი (12), დანელიანი (5), ჩაჩუა (4), ჯიმშელეიშვილი (3), გაბისონია

მაკაბი: ნინოშვილი (17), წოწელია (30), ვაშაკიძე (2), სუხიშვილი (16); კონჯარია (7), ოთიურიძე (9), ერგემლიძე

მსაჯები: მაკა კუპატაძე, ლიკა ქაჯაია

8 ნოემბერი. თბილისი

**ბასკო 89:80 სტუ**

19:16, 23:24, 17:21, 30:19

ბასკო: დ. ბერიშვილი (14), ბ. ბერიშვილი (9), ტუჯანი (16), კეშელავა (13), ბერძენიშვილი (12), ბოლქვაძე, როდუმტა (5), იმნაძე (4), კვიმსაძე, ი. ბერიშვილი (16), ჩხატარაშვილი

სტუ: ნიკოლაძე (14), ხეცურიანი (11), მარკოიშვილი (6), ბაბიაშვილი (18), ოგანესიანი (4), შანიძე (16), მიქაძე (2), დავითულიანი (7), ახალკაცი (2), ქისტაური, გაგნიძე

## ტყვიის სროლა

# სალუქვაძემ შვედეთიდან ჩეხური ბრინჯაო ჩამოიტანა

შვედურ გიოტებორგში ტყვიის მსროლელთა ევროპის ჩემპიონატზე სროლა ყველაზე გამოცდილმა ქართველმა სპორტსმენებმა — ნინო სალუქვაძემ და ნინო უჩაძემ სხვა თანაგუნდელებზე ადრე დაასრულეს და სამშობლოშიც ისე დაბრუნდნენ, მათ გამოსვლებს აღარც დალოდებიან. თავიდანვე ცხადი იყო, რომ ახალბედა ელისო სულაკაური და გია სვანიძე სადებიუტო ტურნირზე მაღალი მიზნებისთვის ბრძოლას ვერ შეძლებდნენ, თუმც ასე მოკრძალებულ შედეგსაც არავინ ისურვებდა. სულაკაურის მიერ პნევმატური პისტოლეტით დაგროვილი 354 ქულა ბოლო შედეგი აღმოჩნდა, სვანიძემ კი ხუთ მეტოქეს გაუსწრო. მაშხანით მსროლელი დიანა ავეტისიანი 80 მონაწილეში ასევე ცხრილის ფსკერზე აღმოჩნდა.

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ საპრიზო ადგილი ვერ დაიკავა, ნინო სალუქვაძემ შვედეთიდან ბრინჯაო მაინც ჩამოიტანა.

„ზაფხულში ჩეხურ პლზენში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე სპორტული იარაღით სროლაში ნინო მეოთხე ადგილზე გავიდა, მაგრამ მოგვიანებით მასზე წინ მდგომი ალბანელი დოპინგის მიღებაში ამხილეს და მედალი ჩამოართვეს" — გვითხრა საქართველოს ტყვიის სროლის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გივი ბოსტოღანაშვილმა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

## ჰოკეი

## რეგულარული ჩემპიონატი

— 7 ნოემბერი —

**კოლუმბუსი 4:2 ატლანტა**
*2:1 1:0 1:1*

**ფლორიდა 6:3 პიტსბურგი**
*2:0 0:2 4:1*

**ნიუ ჯერსი 1:1 ტორონტო**
*0:0 1:0 0:1 0:0*

**ნეშვილი 1:2 ჩიკაგო**
*0:0 0:1 1:1*

**ბუფალო 2:1 მონრეალი**
*0:0 2:0 0:1*

**კალგარი 0:3 მინესოტა**
*0:1 0:1 0:1*

— 8 ნოემბერი —

**რეინჯერსი 1:2 ფილადელფია**
*1:0 0:0 0:1 0:1*

**ბოსტონი 4:1 დალასი**
*1:1 3:0 0:0*

**კაროლინა 3:2 ლოს ანჯელესი**
*0:0 2:1 0:1 1:0*

**მონრეალი 3:0 ბუფალო**
*1:0 1:0 1:0*

**აილენდერსი 3:4 ატლანტა**
*1:0 2:3 0:1*

**ოტავა 0:1 ნიუ ჯერსი**
*0:0 0:0 0:1*

**ტორონტო 4:1 ედმონტონი**
*2:0 1:0 1:1*

**ვაშინგტონი 2:3 სან ხოსე**
*0:0 1:2 1:1*

**დეტროიტი 3:4 ნეშვილი**
*2:0 1:0 0:4*

**ტამპა 9:0 პიტსბურგი**
*2:0 3:0 4:0*

**სენტ ლუისი 2:0 ფლორიდა**
*1:0 1:0 0:0*

**ფინიქსი 4:3 ანაჰაიმი**
*2:2 1:1 0:0 1:0*

**ვანკუვერი 4:3 მინესოტა**
*3:0 1:2 0:1*

— 9 ნოემბერი —

**კოლუმბუსი 4:3 კალგარი**
*1:1 3:1 0:1*

**კაროლინა 1:1 ტამპა**
*0:1 1:0 0:0 0:0*

**ჩიკაგო 3:4 კოლორადო**
*0:0 3:1 0:2 0:1*

**ანაჰაიმი 2:1 ფინიქსი**
*1:0 0:1 0:0 1:0*



კოლუმბუსელი ჯოდი შელი და კალგარელი ახმახი კშიშტოფ ოლივა შებმულან



ჟუსტინ ენენმა ტრავმის მიუხედავადაც გაუსწრო კიმ კლაისტერსს

# ჟუსტინს კიმის მოსაგებად წაგებაც ეყო

**BANK OF AMERICA TOUR CHAMPIONSHIPS**

ლოს ანჯელესი. მაგარსაფარი საპრიზო 3 მილიონი $

— 7 ნოემბერი —

**წითელი ჯგუფი**

**კიმ კლაისტერსი** (1, ბელგია) — ამელი მორესმო (4, საფრანგეთი) 3:6, 6:4, 6:4

**თავი ჯგუფი**

**ჟუსტინ ენენ-არდენი** (2, ბელგია) — ჯენიფერ კაპრიატი (3, აშშ) 6:2, 6:1; **ანასტასია მისკინა** (5, რუსეთი) — აი სუგიამა (7, იაპონია) 6:4, 6:3

— 8 ნოემბერი —

**წითელი ჯგუფი**

**ელენა დემენტიევა** (6, რუსეთი) — ჩანდა რუბინი (8, აშშ) 4:6, 7:5, 6:1

**თავი ჯგუფი**

**სუგიამა** — ენენ-არდენი 6:2, 6:4; **კაპრიატი** — მისკინა 7:5, 5:7, 6:4

— 9 ნოემბერი —

**ნახევარფინალი**

**კლაისტერსი** — კაპრიატი 4:6, 6:3, 6:0; **მორესმო** — ენენ-არდენი 7:6 (7:2), 3:6, 6:3

წლის დამაგვირგვინებელ რვაქალა პირველობაში მონაწილე გოგონები წინა კვირაში მაშინ დავტოვეთ, როცა ჯერ მხოლოდ ერთი ნახევარფინალისტი იყო გარკვეული. ეს ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული, ამჟრის აწ უკვე ყოფილი პირველოსანი კიმ კლაისტერსი გახლდათ.

ხოლო ლოსანჯელესურ ბატალიებს უკვე ზედ ფინალის წინ ვუბრუნდებით, როცა კიმი რეიტინსგიაში უკვე მეორე ადგილზე კი ჩამოსკუპებულა, მაგრამ ისევ ფინალშია და ტიტულის დაცვას ამელი მორესმოსთან ეცდება.

მაშ ასე — საიმისოდ, რათა თვისტომი ამჟრის პირველოსნობიდან ჩამოექვეითებინა, ჟუსტინ ენენ-არდენს სულ მცირე ნახევარფინალში მოხვედრაც ჰყოფნიდა. ამის გაკეთება ჟუსტინმა დამაჯერებლად შეძლო — ჯერ საპირველტურო უდაბულეს მატჩში ანასტასია მისკინას აჯობა, მერე კი ბარძაყებმტკივან ჯენიფერ კაპრიატის მოერია. ქალთა უსტაბაშობისთვის ეს უკვე საკმარისი იყო და ჯგუფის მესამე შეხვედრაში ჟუსტინს თავი აღარ მოუკლავს — ეგ მით უფრო, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში თამაში გრიპიანს უხდებოდა და სასურველი ფიზიკური კონდიციებისგან ერთობ შორს იდგა.

სწორედ ამის გამოვე იყო, ამელი მორესმოს წინააღმდეგ სანახევარფინალო შეხლაში ჟუსტინმა თავისი შესაძლებლობის სრულად გამოვლენა რომ ვერ მოახერხა. ყველაფერი გავილე, მაგრამ მოგების შანსი ნაღდად არ მქონდაო, ამბობდა თავადაც. მორესმო კი ნამატჩევს „კარიერის ერთ უდიდეს გამარჯვებასა" და სხვა მისთანებზე ლაპარაკობდა.

არადა, რომ არა ელენა დემენტიევას მიერ უკანასკნელ ჯგუფურ შეხლაში ჩანდა რუბინის მოულოდნელი ძლევა, ლესბოსელი ფრანგი ნახევარფინალთა მიღმა უნდა დარჩენილიყო...

სხვაფრივ — საინტერესოდ წარიმართა მეორე ნახევარფინალური მატჩიც, რომლის მოგებაც ჯენიფერ კაპრიატის კიმ კლაისტერსთან ერთად თავისმა ბარძაყმაც არ დაანება.

ტრავმამ ჯენი მეორე სეტში შეაწუხა. იმ მომენტისთვის, როცა მან ზედაფეხის გამოსაზელად დასტაქრებს მიმართა, ის უკვე 3:2 იგებდა.

მაგრამ გამოზელამ ავნო, თუ იმტა გაუნელდა, ფაქტია, რომ კორტზე ნააქიმევს მობრუნებულმა ილაჯიც დაკარგა და სამიზნეც გაიმრუდა. წაგებული პირველი სეტის მერე ოდნავ ნირწამხდარ კიმსაც სწორედ ეს უნდოდა — ჯენის მიერ მოშვებული სადავეები მან მყისვე აკრიფა და ისე გაუტია, რომ ზედიზედ ათი გეიმი მიითვალა.

ეტყობა შევცდიო, ამბობდა მერე ჯენიფერი — თამაშს მაშინ არ უნდა გამოვთიშოდი, როცა მაგარი შებერილი მქონდაო.

**ლევან ქელაურაძე**



WRC **მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში. XIV ეტაპი დიდი ბრიტანეთი**

# მატადორის მოსაგებში ჰოლივუდმა გადაიღო

**ესპანელ** მრბოლ კარლოს საინსს თავისი მე-17 სარალო სეზონის ამგვარი დასასრული ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც არ მოელანდებოდა. მსოფლიოს ორგზის (1990, 1992) ჩემპიონი „მატადორი" ფინიშამდე ორი ეტაპით ადრე უახლოეს კონკურენტებს სამ-ხუთქულიანი უპირატესობით უსწრებდა და მესამედ ტიტულის მოპოვების რეალურ შანსსაც ინარჩუნებდა, მაგრამ...

ჯერ იყო და ორი კვირის წინ მშობლიურ „კატალონიის რალიში" მანქანის ელექტრონიკის გაუმართაობის მიზეზით მხოლოდ მეშვიდე ადგილს დასჯერდა, გასულ უქმეებზე კი თავიდანვე გამოეთიშა ბრძოლას. „მეფე კარლოსმა" და მისმა შტურმანმა მარკ მარტიმ დაძვრაც ვერ მოასწრეს, რომ თავიანთი „სიტროენის" იქვე, სერვისზონაში გადაგორება მოუხდათ სამკურნალოდ, რადგან, მანქანებში სავალდებულო ვიდეოკამერა კონტაქტის გამო გადახურდა და სახანძრო საშიშროება შეიქნა. დაბნეულმა მექანიკოსებმა რომ ვერაფერი იღონეს, მარტიმ სადღაც ჯაყვა იშოვა და კაბელი გადაჭრა. ცხადია, ამასობაში ბლომად დრო დაიკარგა და კარლოსიც თავქუდმოგლეჯილი გავარდა წინ, მაგრამ ოციოდე კილომეტრის გავლის შემდეგ მანქანა გზისპირა კიუვეტში გადაუცურდა და მესამე გვირგვინის ოცნება ოცნებადღა დაურჩა.

უფრო ნაადრევად დაემშვიდობა საჩემპიონო შანსს მეორე პრეტენდენტი რიჩარდ ბარნსი, რომელსაც რბოლამდე რამდენიმე დღით ადრე საჭესთან გული შეუღონდა და ექიმებმაც, ბუნებრივია, სტარტზე გასვლის ნება არ დართეს.

ასე და ამგვარად, სატიტულო ბრძოლას ორი კანდიდატი ფრანგი სებასტიენ ლოები და ნორვეგიელი პეტერ სოლბერგი შემორჩა. „სები" ქულით უსწრებდა „ჰოლივუდ" პეტერს და ამდენად უკეთეს ვითარებაშიც გახლდათ.

75 ეკიპაჟს უელსის ადმინისტრაციულ ცენტრ კარდიფის შემოგარენში იქაური ტრადიციული წვიმის წყლტთ გაჟღენთილ კენჭ-ღორღიან გზებზე 377-კილომეტრიანი ჩქაროსნული დისტანცია ჰქონდათ დასაძლევი. თავიდან ლოების და მის მონაკოელ თანამძლოლ დანიელ ელენას „სიტროენი" დაწინაურდა, მაგრამ მალე მათ ლიდერობა სოლბერგმა და უელსელმა ფილიპ მილსმა ჩამოართვეს, ბოლომდე უშეცდომოდ იჯირითეს და მეორე დღეს რვავე ჩქაროსნული უბნის მოგებით იმხელა უპირატესობა დააგროვეს, რომ დასკვნით სამ მონაკვეთზე მეწინავეობის შენარჩუნება მათთვის პრობლემას აღარ წარმოადგენდა, თუ, რასაკვირველია, ავარია არ შეემთხვეოდათ. ის კი არა, სოლბერგმა კიდევ უფრო გაზარდა კონკურენტთან სხვაობა და დამსახურებული გამარჯვებაც მოიპოვა. პეტერმა, რომელიც ერთ კვირაში 29 წლის გახდება, სეზონის 14 ეტაპიდან ოთხი მოიგო, ერთხელ მეორე, ორჯერ კი მესამე ადგილებზე გავიდა და პირველი ნორვეგიელი მსოფლიოს ჩემპიონი შეიქნა. ცხადია, იქვე ფინიშზე, „ჰოლივუდს" ცოლ-შვილმაც და მთელმა „სუბარუმ", მათ შორის თანაგუნდელმა ტომი მაკინენმა, რომელმაც სწორედ გუშინ დაასრულა სამძღოლო კარიერა, ზეისტორიული ტრიუმფი მხურვალე ჩახუტებით მიულოცეს, თანამემამულეთაყვანისმცემლებმა კი ჰაერში ააბურთავეს. შამპანურით ნაწუწავებმა გვირგვინოსანმა აღიარა, ეს ჩემთვის უბედნიერესი დღეა, ცხადია, სამი წლის წინ ვაჟიშვილ ოლივერის დაბადების შემდეგო.

ლოებს და საინსს კი სანუგეშოდ ისღა დარჩათ, რომ მათი მცდელობით „სიტროენმა" გუნდური პირველობა ანუ კონსტრუქტორთა თასი არავის დაანება.

**გია ახალაძე**



REUTERS

პეტერ სოლბერგი პირველი ნორვეგიელი მსოფლიოს ჩემპიონია

**რბოლის შედეგები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) | 3 სთ; 28.58,1 |
| 2 | სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) | ჩამორჩა 43,6 |
| 3 | ტომი მაკინენი (ფინეთი, სუბარუ) | 2.58,8 |
| 4 | კოლინ მაკრეი (დიდი ბრიტანეთი, სიტროენი) | 5.28,1 |
| 5 | ფრანსუა დიუვალი (ბელგია, ფორდი) | 7.16,1 |
| 6 | ფრედი ლოა (ბელგია, პეჟო) | 8.06,5 |
| 7 | მანფრედ შტოლი (ავსტრია, პეჟო) | 8.48,4 |
| 8 | რომან კრესტა (ჩეხეთი, პეჟო) | 9.02,6 |

**საბოლოო ვითარება**

1. პეტერ სოლბერგი 72 ქულა; 2. სებასტიენ ლოები 71; 3. კარლოს საინსი (ესპანეთი, სიტროენი) 63; 4. რიჩარდ ბარნსი (დიდი ბრიტანეთი, პეჟო) 58; 5. მარკო მარტინი (ესტონეთი, ფორდი) 49; 6. მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო) 46; 7. კოლინ მაკრეი 45; 8. ტომი მაკინენი 30; 9. ფრანსუა დიუვალი 30; 10. ჟილ პანიზი (საფრანგეთი, პეჟო) 27

**კონსტრუქტორთა თასი**

სიტროენი 160 ქულა, პეჟო 145, სუბარუ 109, ფორდი 93, შკოდა 23, ჰიუნდაი 12

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge